# ალია

N177 /3107/ 3 დეკემბერი 2014 წ

ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან



სოკარი აგრძელებს გაზგასამართი სადგურების ქსელის გაფართოებას

SOCAR


## რას მოიმოქმედებს უკრაინის პრეზიდენტი ღარიბაშვილის ჩატანილ კომპრომატებზე?



## იჩქერიის მთავრობის გამოძიების სკანდალური დასკვნა



საქართველოს შს მინისტრს რუსეთის სპეცსამსახურების დავალების შესრულებაში ამხელენ



## კურტანიძეს კორუფციული გარიგება შესთავაზეს

რატომ არ ამხელს ფედერაციის ექსპრეზიდენტი მათ ვინაობას?

## როგორ დაიცავს შს მინისტრი „რეფორმატორებს“ სადღობელაშვილის მუქარებისგან?



## როგორ იჭერდნენ ლარის კურსს „ნაციონალები“ და რატომ გაურბით „მეოცნებეებს“?

ლარი, დოლარი და ეკონომიკა ბიძინას ეშლება ვითომ?



## რატომ აკრძალა ილიაუნის რექტორმა მამაოს ლექციები?

რას ამბობს მამა თეოდორე გიგნაძე „ალიასთან“ საუბარში?





## რატომ თქვა უარი კვიციანის ოჯახმა აქციების ჩატარებაზე?

## რატომ შეგვიმცირა თურქეთმა მტკვრის დონე და რატომ ვერ ვითხოვთ ამის გამო მის დასჯას?



## ყვარელში პოლიციელის მკვლელობაში მონაწილე სამი პირი დააკავეს



შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ივანე ი., 1986 წელს დაბადებული გიორგი ს. და 1986 წელს დაბადებული გიორგი კ. განზრახ მკვლელობის დანაშაულში ამსრულებლისა და თანამონაწილის პასუხისმგებლობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული პირები პოლიციელის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ილია ს-ს დანაშაულის აღსრულებაში ეხმარებოდნენ. კერძოდ, ივანე ი-მ 30 ნოემბერს, გამთენიისას, ინგლისიდან ჩამოსულ ილია ს-ს ცეცხლსასროლი იარაღი დაახვედრა და ავტომანქანით გადაადგილებაში ეხმარებოდა, ხოლო გიორგი ს-მ და გიორგი კ-მ განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს გარდაცვლილის საცხოვრებელი სახლი და მისი მოძრაობის მარშრუტი დაუდგინეს. გამოძიებით დადგინდა, რომ ივანე ი-მ დანაშაულის ჩადენის იარაღი – გადაჭრილი სანადირო თოფი, რომლიდანაც ილია ს-მ პოლიციელს ესროლა, კვალის დაფარვის მიზნით დამალა და მდინარე დურუჯში გადააგდო. სამართალდამცველებმა აღნიშნული იარაღის ნაწილი მდინარიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ივანე ი. თბილისში, ბესიკის ქუჩაზე, გიორგი ს. თბილისში, პეკინის გამზირზე, ხოლო გიორგი კ. ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე დააკავეს. სამივე დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. (ინტერპრესნიუსი)

## მიუსაფართა თავშესაფარში ათ დღეში სამი მობინადრე გარდაიცვალა



მოსკოვის გამზირზე მდებარე უსახლკაროთა თავშესაფარში 70 წელს გადაცილებული მამაკაცი გარდაიცვალა. ექიმი, რომელიც კარავში მორიგეობდა ამბობს, რომ პაციენტის გადარჩენა ვერ შეძლო.

თავშესაფარს ბოლო ათი დღის განმავლობაში კიდევ ორი ბენეფიციარი გამოაკლდა. ამის მიზეზი, ძირითადად, ქრონიკული დაავადებებია, თუმცა კარვების დასახლებაში ავადმყოფობასთან ერთად ცივი ზამთრისაც ეშინიათ, რადგან კარავში წვიმის დროს წყალი შედის.

მიუსაფართა თავშესაფარში მცხოვრებლების თქმით, დაავადებების მიზეზი ხშირად ანტისანიტარიაც ხდება. ჯერჯერობით უცნობია, გაუმჯობესდება თუ არა ბენეფიციარებისთვის საცხოვრებელი პირობები. მერიის ინფორმაციით, უსახლკაროთათვის კაპიტალური შენობის აშენება 15 თვეში იგეგმება. (ნიუპოსტი)



## კვიტაშვილი უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი გახდა

ალექსანდრე კვიტაშვილი უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის პოსტზე დაამტკიცეს.

პრემიერმა არსენი იაცენიუკმა კვიტაშვილის წარდგენისას განაცხადა: „ეს არის კაცი, რომელმაც საქართველოში რადიკალური რეფორმები გაატარა, ეს არის კაცი, რომელმაც მიიღო უკრაინის მოქალაქეობა, ეს არის კაცი, რომელიც რადიკალურ რეფორმებს გაატარებს უკრაინისთვის“.

მიუხედავად გარკვეული დეპუტატების პროტესტისა, უკრაინის პრეზიდენტმა მაინც შეძლო მინისტრთა კაბინეტში სხვა ქვეყნის მოქალაქეთა შეყვანა: „მე მტკიცედ ვდგავარ ჩემს პოზიციაზე, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ უცხოელების პოტენციალი, მათ შორის მათი მინისტრთა კაბინეტში შეყვანის ფორმითაც“. – აღნიშნა პოროშენკომ. (ნიუპოსტი)

## საქართველოს საგარეო ვალი იზრდება



2015 წლის ბიუჯეტის საბოლოო პროექტის მიხედვით, მთავრობა მომავალი წლიდან დაგეგმილზე მეტი ახალი საგარეო ვალის აღებას აპირებს. საუბარია, მილიარდ ათ მილიონზე. 2015 წლის ბიუჯეტის თავდაპირველი პროექტის თანახმად, დაგეგმილი იყო 920 მილიონი ლარის ოდენობის ვალის აღება, პარლამენტისთვის მეორედ წარდგენილ კორექტირებულ ბიუჯეტში კი მისი ოდენობა 930 მილიონ ლარს შეადგენდა, ხოლო საბოლოო ვარიანტში უკვე თანხა მილიარდ ათი მილიონით განისაზღვრა.

2015 წელს ასაღები საგარეო ვალის ოდენობა იმაზე ნაკლებია, რაც 2014 წელს იყო. 2014 წლისთვის ასაღები საგარეო ვალის მოცულობა მილიარდ ოცდათექვსმეტი მილიონით იყო განსაზღვრული.

მთავრობა მომავალი წლისთვის 356 მილიონის გასტუმრებას გეგმავს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ლარის კურსმა დოლართან მიმართებაში 1.86 შეადგინა



საქართველოს ეროვნული ბანკის დღევანდელ სავალუტო აუქციონზე, სებ-მა 40 000 000 აშშ დოლარი გაყიდა. ეროვნული ბანკის განმარტებით, საშუალო შეწონილმა გაცვლითმა კურსმა 1.8605 შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსმა გაუფასურება 21 ნოემბერს 1.7675-დან დაიწყო. ამ პერიოდში სებ-მა უკვე 80 მილიონი დოლარი გამოიტანა გასაყიდად. ბოლო 10 წლის განმავლობაში ლარის ყველაზე მაღალი გაცვლითი კურსი 2004 წლის დასაწყისში იყო, როცა 1 დოლარის ღირებულებამ 2.14 ლარსაც კი მიაღწია, წლის ბოლოს კი 1.82 ლარამდე შემცირდა. ბოლო 4 წელიწადში გაცვლითი კურსი ყველაზე მაღალი 2010 წლის ივნისში იყო (1,8875) და 1,80-იან ნიშნულს 2011 წელსაც გასცდა. გასული წლის ბოლოს 1 დოლარი 1.73 ლარამდე გაძვირდა. (ინტერპრესნიუსი)

## „ხალხში დაძაბულობის მოსახსნელად ყველაფერს გავაკეთებთ“



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ქორეპისკოპოსმა მეუფე თეოდორემ, რელიგიის საკითხთა სააგენტოში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, რომ სოფელ მოხეში სადავო შენობასთან დაკავშირებით თანხმობის მიღწევა შესაძლებელია.

„ყველა მხარემ უნდა გამოხატოს თანხმობა, როგორც სახელმწიფომ, ასევე მართლმადიდებელმა და მუსლიმანმა მრევლმა. ჩვენ შევეცდებით, ასეთი გადაწყვეტილება ვიპოვოთ. არ არსებობს საკითხები, რომელზეც შეთანხმება არ შეიძლება. ყველა საკითხზე შეიძლება მივაღწიოთ თანხმობას და ეს აუცილებელია. ჩვენ ერთი ქვეყნის შვილები ვართ. შევთანხმდით მუსლიმანური თემის წარმომადგენლებთან, ყველასთან, რომ მაქსიმალურად გავაკეთებთ ყველაფერს, რათა ხალხში დაძაბულობა მოიხსნას. მოვუწოდებ როგორც მართლმადიდებელ, ისე მუსლიმან მრევლს, რომ ნუ აჰყვებიან ნურანაირ პროვოკაციებს, დაძაბულობას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ გადაწყვეტილება ორივე მხარისთვის მისაღები იყოს. ბევრი შრომაც რომ მოგვიწიოს, ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ის ძმური ურთიერთობა, რომელიც ამ სოფელში და მთელ საქართველოში არსებობს მართლმადიდებლებსა და მუსლიმანებს, ასევე ყველა სხვა კონფესიის წარმომადგენლებს შორის, კიდევ უფრო განმტკიცდეს და ჩვენს შორის არანაირი გაუგებრობა არ იყოს“, – განაცხადა მეუფემ. (რეპორტიორი)

## პოროშენკო უკრაინაში მებრძოლ ქართველებს უკრაინის მოქალაქეობას მიანიჭებს



უკრაინის პრეზიდენტი, პეტრე პოროშენკო უცხოელ მოხალისეებს, რომლებიც უკრაინელთა მხარეს იბრძვიან, უკრაინის მოქალაქეობას მიანიჭებს.

„იმ ბელორუსების, რუსების, ქართველების სახელით, რომლებიც იარაღით ხელში უკრაინის სახელმწიფოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას იცავდნენ, მე მიმართვა მივიღე. დაპირების თანახმად, მე მათთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭებას ხელს მოვაწერ. მათ გაიარეს ეს გამოცდა“, – განაცხადა პოროშენკომ. (news.ge)

## პრემიერმა დეპუტატებს პრეზიდენტის ვეტოს დაძლევისთვის მადლობა გადაუხადა



პრემიერ-მინისტრი უმრავლესობის წევრებს ე.წ. მოსმენებთან დაკავშირებით პრეზიდენტის მიერ დადებული ვეტოს დაძლევის გამო მადლობას უხდის.

„ჩვენ ვნახეთ, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ დაძლია პრეზიდენტის ვეტო. მინდა, მადლობა გადავუხადო დეპუტატებს. ეს იყო კარგი დემონსტრირება იმის, რომ დღეს საქართველოში არის სრული დემოკრატია და ეს ჩვენი ხელისუფლების დამსახურებაა. მინდა, კიდევ ერთხელ აღვნიშნო ამაში საპარლამენტო უმრავლესობის ძალიან დიდი წვლილი“, – განაცხადა ღარიბაშვილმა. (ნიუპოსტი)



## აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების ფორმატი შენარჩუნდება

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძის თქმით, კარასინი-აბაშიძის მოლაპარაკებების ფორმატი გრძელდება.

„ამ ფორმატს და ამ კომუნიკაციის არხს ვინარჩუნებთ, მაგრამ მორიგი შეხვედრა ჯერ დანიშნული არ არის. იგივე თქვა კარასინმა, ოღონდ ცოტა სხვა სიტყვებით. კომუნიკაციის არხი შენარჩულებულია და თუ საჭირო იქნება ჩვენ გვაქვს საშუალება იმისა, რომ დავუკავშირდეთ ერთმანეთს, თუმცა, შემდეგ შეხვედრაზე ჯერ არ შევთანხმებულვართ“, – განაცხადა აბაშიძემ. (ნიუპოსტი)

# რატომ შეგვიმცირა თურქეთმა მტკვრის დონე და რატომ ვერ ვითხოვთ ამის გამო მის დასჯას?

**მდინარე მტკვარზე წყლის დონის კლებასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც გარემოს ეროვნულმა სააგენტომ, რამდენიმე დღის წინ, მდინარე მტკვარში (ასპინძის რაიონის სოფელ ხერთვისთან) წყლის დონის კლება დააფიქსირა. მინისტრმა ელგუჯა ხოკრიშვილმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, გაარკვია, რომ საქართველოს საზღვრიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში მდებარე „ქაიაბეის“ კაშხლის შევსება მიმდინარეობს ზამთრის სეზონისთვის, რამაც მტკვარში წყლის დონის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. თურქულ კერძო კომპანიას დროულად არ უცნობებია თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის და ამის გამო დაგვიანებულა ქართული მხარის ინფორმირება თურქეთის ტერიტორიაზე მტკვრიდან წყალაღების შესახებ. თურქული მხარის ინფორმაციით, წყლის მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე დეკემბრის შუა რიცხვებისთვის დაუბრუნდება ნორმალურ დონეს, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ მტკვრის დონის დროებითი შემცირება სერიოზულ რისკებს არ იწვევსო.**

**„ალია“ კომენტარისთვის დაუკავშირდა პარლამენტის დამოუკიდებელ დეპუტატს, „მწვანეების“ ლიდერს**



**გიორგი გაჩეჩილაძეს, რომელმაც „ალიასთან“ საუბარში ჯერ კიდევ გაზაფხულზე განაცხადა, თურქეთი თავის ტერიტორიაზე მტკვრის კალაპოტის შეცვლას აპირებს, წყალს ჩვენკენ აღარ გამოუშვებენ და კატასტროფა გველისო.**

**— ბატონო გია, მტკვრის კალაპოტის დაკლებაზე გარემოს დაცვის სამინისტრო ამბობს, წყლის დონის დროებითი შემცირება სერიოზულ რისკებს არ იწვევსო. მართლა ასეა?**

– უპრობლემო როგორ არის წყალი, კაცო, და მის კლებასთან დაკავშირებული მოვლენები უპრობლემოა? ზამთარში სათავეში წყალი რომ არ არის, უპრობლემოა? საერთოდ, არსებობს გაეროს კონვენციები სასაზღვრო მდინარეების შესახებ, არც თურქეთი და არც საქართველო ამ კონვენციას მიერთებულები არ ვართ.

**— რატომ?**

– თურქეთი არ არის შეერთებული, რადგანაც მას იგივე პრობლემები აქვს მოსაზღვრე სირიასთან, იქაც ააშენეს თურქებმა კაშხლები და სირიას წყალი დააკლდა. ამიტომ თურქეთისთვის კონვენციასთან მიერთება პრობლემის გაჩენაა, რადგანაც მოუწევს ვალდებულებების შესრულება. საქართველოც, როგორც გითხარით, არ არის შეერთებული და აქ ის მოტივია, რომ მტკვარი ჩვენგან მერე აზერბაიჯანშიც მიდის და ისინი ჩვენ დიდ პრეტენზიებს გვიყენებენ, თქვენ მტკვრიდან ბევრ წყალს მოიხმართ და მინგეჩაური არ ივსებაო. ამიტომაც ყველა მთავრობა თავს იკავებდა ამ კონვენციაზე შეერთებაზე. ეს კონვენცია რომ გვქონდეს დადებული, მაშინ ამ კონკრეტულ შემთხვევას, რაც „ქაიაბეისთან“ დაკავშირებით გავრცელდა, სხვა ჭრილში გავატარებდით. თავად „ქაიაბეი“ მცირე ზომის კაშხალია, ეს ის ჰესი არ არის, რაზეც ჩვენ გაზაფხულზე ერთი ამბავი ავტეხეთ და საქართველოს მთავრობა გავაფრთხილეთ, სასწრაფოდ მოლაპარაკება დაეწყო თურქეთის მხარესთან. ჩვენ ვშიშობდით არდაგანის ოლქში ასაშენებელ კაშხალზე, „ბეშიკ ჰაიაზე“, რომლის მშენებლობასაც თურქები აპირებენ და, რომელიც არამარტო ჩვენ შეგვიქმნის დიდი პრობლემებს, ასევე იქაურ თურქ მოსახლეობასაც, რადგანაც მტკვარი ჩვენთანაც შემცირდება და თურქეთშიც, მათ იქ საძოვრები აქვთ და წყალი გაუქრებათ. თურქებს სურთ, იქ გამომუშავებული წყალი უზარმაზარი გვირაბით გადაისროლონ ჭოროხის აუზში, რომელიც ქედის იქითაა. ანუ, მტკვარს დააკლებენ წყალს და ჭოროხს უმატებენ. ჭოროხზე უკვე ააშენეს თურქებმა რამდენიმე კაშხალი, რასაც ჩვენ ვაპროტესტებთ და ახლა რაც ხდება ბათუმში, ეს შტორმები და უზარმაზარი ტალღები სანაპიროსთან, სწორედ ამის ბრალია. დღეს ზღვას აჭარაში სანაპირო ზოლი მიაქვს და მიაქვს. არადა, ჩვენ ვამბობდით, რომ როგორც კი ერთი კაშხალიც კი აშენდება ჭოროხზე, ეს გააჩერებს მყარი მასალის ჩამოტანას ზღვაში და მოხდება სანაპირო ზოლის გარეცხვა, კომპენსაცია დაირღვევა და ეს ამბავი მოხდება-თქო და ისე აგისრულდეთ ყველაფერი, აჭარაში ზღვა მოდის და მოდის წინ და ვერ აჩერებენ.

ნახეთ, ეს მცირე კაშხალია, ეს „ქაიაბეი“ და იმწამსვე დაეტყო მდინარეს სიმცირე, მაგრამ რა? სამართლებრივად ვერაფერს ვშვრებით, წყლის გაყოფაზე შეთანხმება არ გვაქვს და ვართ ამ დღეში, მაგრამ ვიცი, რომ კახა კალაძეს მოლაპარაკებები აქვს თავის თურქ კოლეგასთან და ალტერნატიულ ვარიანტს ეძებენ.

**— ეს ჩვენს დღევანდელ საკითხს არ ეხება, მაგრამ აზერბაიჯანი ახსენეთ და უნდა გკითხოთ: მართალია, რომ წლების მანძილზე ხალხის ზურგს უკან საქართველოდან აზერბაიჯანს ეძლეოდა საიდუმლო მილებით წყალი?**

– როგორ არა, კახეთიდან, სართიჭალიდან. მე თვითონ მაქვს ნანახი და ბევრი ვიბრძოლეთ, რომ საქართველოს დაბრუნებოდა წყალი. წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირი დაშლილი იყო და სართიჭალის სათავე ნაგებობაში აზერბაიჯანის დაცვა იდგა მაინც. ეს იყო მიწისქვეშა წყლები, რომელიც ჩაბეტონებული კომუნიკაციებით მიდიოდა აზერბაიჯანში.

*თამარ ოქრუაშვილი*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ნაცმოძრაობა“ ნეპოტიზმის ფაქტებზე საუბრობს



„ნაციონალური მოძრაობა“ მესტიასა და ონში ნეპოტიზმის მაგალითებს ასახელებს. ირმა ნადირაშვილმა წარმოადგინა ციკლი რაიონების მიხედვით, თუ როგორ არიან გადანაწილებული მაჟორიტარი დეპუტატები, მათი ოჯახის წევრები, ნათესავები, მეგობრები სხვადასხვა თანამდებობაზე.

მესტია: გამგებელი კაპიტონ ჟორჟოლიანი. 1. მეუღლე ნინა ხატისკაცი – თბილისის მერის მოადგილე; 2. ბიძა (დედის ძმა) ვახტანგ ნაკანი – მესტიის საკრებულოს წევრი და ფრაქციის თავმჯდომარე; 3. ნათესავი (ბიცოლის ძმა) მაიზერ ჯაფარიძე (იმავდროულად მაჟორიტარის ნათესავი) – საკრებულოს თავმჯდომარე (არჩევნებამდე იყო გამგებლის მოადგილე);

მაიზერ ჯაფარიძე მესტიის მაჟორიტარის ვიქტორ ჯაფარიძის ნათესავია.

მესტიის მაჟორიტარი დეპუტატი – ვიქტორ ჯაფარიძე. 1. რძალი ნელი ნავერიანი – გამგებლის პირველი მოადგილე; 2. მეგობარი ირაკლი ქურდიანი – გამგებლის მოადგილე (სოფლის მეურნეობის დარგში); 3. ბიძაშვილის მეუღლე სოფო ჩხვიმიანი – მესტიის სოციალური სამსახურის უფროსი; 4. დისშვილი ლევან კიკვიძე – არჩევნებამდე იყო მესტიის გამგეობის აპარატის უფროსი, არჩევნების შემდეგ გადაიყვანეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში; 5. ნათესავი თეიმურაზ ნავერიანი – საფინანსო სამსახურის უფროსი; 6. ნათესავი ქეთინო ხარძიანი – აპარატის უფროსი; 7. ნათესავი ხატია წიკლაური – საზოგადოებასთან ურთიერთობის განყ. უფროსი; 8. ნათესავი გვანცა ფარიანი – საკრებულოს აპარატის თანამშრომელი.

ონი: ონის მაჟორიტარი დეპუტატი გია ჯაფარიძე: 1. რამაზ ჯაფარიძე (ძმა) – ონის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი (მისივე ბიუროს უფროსი); 2. მალხაზ ჯაფარიძე (ძმა) – კულტურის ცენტრის დირექტორი; 3. შუქურა ჯაფარიძე (ნათესავი, მეზობელი) – საკრებულოს თავმჯდომარე; 4. ბაკურ ჯაფარიძე (ბიძაშვილი) – საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე; 5. მერაბ ჯაფარიძე (ნათესავი) – სახანძრო და სამაშველო სამსახურის უფროსი, ასევე საკრებულოს თავმჯდომარის მეუღლე; 6. ალექსანდრე ჯაფარიძე (ნათესავი) – გამგებლის მოადგილე.

ირმა ნადირაშვილის თქმით, ნეპოტიზმის შემთხვევებს პარტია ყოველ კვირას წარმოადგენს. (ნიუპოსტი)

## შსს-მ ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა




შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1980 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ოთარ ვ. ყაჩაღობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა შეიარაღებული ბრალდებული რუსთავში, კოსტავას ქუჩაზე იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის გაქურდვის მცდელობისას ოჯახის წევრების მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო მიმალვას ცდილობდა. ოთარ ვ. აღნიშნული სახლიდან 200 მეტრში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ამავე დღეს რუსთავში, ე.წ. სტამბოლის ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ოქროულის მაღაზია „კიდობანი“ ცეცხლსასროლი იარაღის მუქარით დააყაჩაღა, დიდი ოდენობით ძვირფასეულობა გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ ოთარ ვ-მ ყაჩაღობის ფაქტიდან რამდენიმე საათში ორი საცხოვრებელი ბინაც გაქურდა. დაკავებულის პირადი ჩხრეკისას „მაკაროვის“ ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი, მოპარული ნივთები, დაყაჩაღებული ძვირფასეულობის ნაწილი და ფული ნივთმტკიცებად ამოიღეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## შეიარაღებული თავდასხმა ჩოხატაურში

შსს ჩოხატაურის სამმართველოს ცნობით, სოფელ ერკეთში მცხოვრებმა ძმებმა თ.კ-მ და გ.კ-მ სოფელ ჯვარცხმაში მცხოვრები ოლეგ რამიშვილის საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გაუხსნეს. ცეცხლსასროლი იარაღიდან საცხოვრებელი სახლის მისამართით 10 ტყვიაა გასროლილი. მომხდარის თაობაზე პოლიციას თავად დაზარალებულებმა აცნობეს.

სამართლდამცავების განმარტებით, ერთ-ერთი ეჭვმიტანილი – ნარკოტიკული ნივთიერების, მეორე კი ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი, გ.კ დაკავებულია. მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს. თავდასხმის მიზეზები ჯერჯერობით უცნობია. (ნიუპოსტი)

## „უკრაინის მთავრობაში სისხლის სამართლის დამნაშავეების დანიშვნა გამიკვირდება“



შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ეჭვობს, რომ უკრაინის ხელისუფლებამ სისხლის სამართლის დამნაშავეებს თანამდებობა შესთავაზონ.

„ეჭვი მეპარება, უკრაინის ხელისუფლება წავიდეს იმაზე, რომ სისხლის სამართლის დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს შესთავაზონ პოლიტიკური თანამდებობები. ხოლო ვისზეც სისხლის სამართლის საქმე აღძრული არ არის, ამაზე უკრაინას საკუთარი ხედვა აქვს. გამიკვირდება იმ პოლიტიკოსების დანიშვნა უკრაინის მთავრობაში, რომლებმაც საქართველო კოლაფსის წინაშე დააყენეს იმდენად, რომ მოსახლეობას მათი სასწრაფოდ გადარჩევა მოუწია“, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (ნიუპოსტი)

## დევნილთა სამინისტროს თანამშრომელი ქრთამზე დააკავეს



საგამოძიებო სამსახურმა ლტოლვილთა სამინისტროსთან ერთად, სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ამავე სამინისტროს ქვემო ქართლის მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის ტერიტორიული ორგანოს უფროსი, მერაბ გოქსაძე დააკავა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, მოქალაქისგან, მისთვის სახელმწიფოს მხრიდან საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ გადაცემაში, დახმარების გაწევის სანაცვლოდ, ქრთამის სახით, 1000 აშშ დოლარი აიღო.

დანაშაულებრივ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 11 წლამდე ვადით. (ნიუპოსტი)

# რატომ თქვა უარი კვიციანის ოჯახმა აქციების ჩატარებაზე?

**კოდორის ყოფილი რწმუნებულის, ემზარ კვიციანის ოჯახის ახლობელი, ზვიად ტომარაძე აცხადებს, სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანამდე, კვიციანის ოჯახმა აქტივობებისგან თავის შეკავება გადაწყვიტა და კვიციანებმა აღნიშნული განცხადების გაკეთება მას სთხოვეს.**

**„ალიას" ზვიად ტომარაძე ესაუბრა:**



– განაჩენი სააპელაციო სასამართლოში უნდა გასაჩივრდეს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები. გარკვეული იმედები არსებობს, რომ სააპელაციო სასამართლო გამოიტანს გამამართლებელ განაჩენს. აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ, რომ დაველოდოთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

**— ვისთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები?**

– ხელისუფლების გარკვეულ წარმომადგენლებთან, საკმაოდ კონფიდენციალური საუბრებია.

**— ზვიად, რატომ ენდობით ხელისუფლებას? ან რატომ გგონიათ, რომ „ნაციონალების" სასამართლო „ნაციონალების" დროინდელი ბრალდებით დაპატიმრებულ ადამიანს გაამართლებს?**

– წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასეთი ამბავია. რა ქნას ამ ხალხმაც, რა უნდა გააკეთონ სხვა?! იქნებ ასე რამე გამოვიდეს... ელოდებიან და თუ სააპელაციო სასამართლომაც არ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, მაშინ მართლა ყველა ამოიღებს ხმას, არამარტო ჩვენ, ოჯახი და ახლობლები, არამედ მთელი ქვეყანა. ეს განაჩენი მარტო ემზარ კვიციანის განაჩენი არ იყო, ეს განაჩენი, ზოგადად, პატრიოტიზმს, ვაჟკაცობას გამოუტანეს. ეს ადამიანი 14 წელი იცავდა ქართულ მიწას. მე პირადად, დიდი იმედი არ მაქვს, მაგრამ რა ვიცი, ყველაფერი ხდება ამ ქვეყანაში, დაველოდოთ.

**— კონკრეტულად რას აპირებთ თუ სააპელაციო სასამართლო გამამართლებელ განაჩენს არ გამოუტანს ემზარ კვიციანს?**

– თუ გამამართლებელ განაჩენს არ გამოუტანს, მერე დაიწყება ფართომასშტაბიანი აქციები, შიმშილობა და ა.შ. მივმართავთ ყველა სახის კანონიერ გზას.

**— როდის მიმართავს კვიციანის ოჯახი სააპელაციო სასამართლოს?**

– ამ კვირაში. არ არის კვიციანი ჩვეულებრივი პიროვნება, კანონის წინაშე ყველა თანასწორია, მაგრამ ამ ადამიანის საქმე სხვებთან შედარებით ბევრად რეზონანსულია. საზოგადოების დიდ ნაწილს ასევე მიაჩნია, რომ ის არის პოლიტპატიმარი. ესეც თუ არ განიხილეს დაჩქარებული წესით და დაქცეულა ქვეყანა... მით უმეტეს, რომ კვიციანზე არ არის აქ საქმე, საუბარია სამართალზე. ეს ადამიანი რომც გაათავისუფლონ, რეალური გამოძიება უნდა დაიწყოს, ვინ ჩააბარა ხეობა, ვის ინტერესებში შედიოდა ემზარ კვიციანის ჩამოშორება, „მონადირის" დაშლა, რატომ ჩააბარეს იარაღის ერთი გასროლის გარეშე კოდორის ხეობა. უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რა მოხდა თავის დროზე კოდორის ხეობასთან დაკავშირებით. ეჭვის დონეზე ყველამ ყველაფერი ვიცით, რაც მოხდა და როგორ მოხდა, მაგრამ ამ ყველაფერს სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს.

*დიანა ლიპარტელიანი*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „მთავრობის უგუნურმა სავიზო პოლიტიკამ ჩვენს თანამემამულეებს პრობლემები შეუქმნა"



„ნაციონალური მოძრაობის" წევრი მიხეილ მაჭავარიანი მთავრობის სავიზო და საიმიგრაციო პოლიტიკას „იზოლაციონისტურსა" და „უგუნურს" უწოდებს:

„როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენს ბევრ თანამემამულეს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირისა და აშშ-ს მოქალაქეები არიან ახლანდელი მთავრობის იზოლაციონისტური და უგუნური სავიზო და საიმიგრაციო პოლიტიკის შედეგად უამრავი პრობლემა შეექმნათ. საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რომელიც აღნიშნული საზიანო რეგულაციების ავტორია, არ გამოხატა ამ პრობლემების მოგვარების მზაობა და მიზეზად და მთავარ პრობლემად პარლამენტში „ხმების პრობლემა" დაასახელა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" მხარს უჭერს ნებისმიერ საკანონმდებლო, მათ შორის, საკონსტიტუციო წინადადებას, რომელიც მოაგვარებს ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პრობლემას და საქართველოში მოღვაწეობას გაუადვილებს ათასობით ჩვენს თანამემამულეს", – განაცხადა მაჭავარიანმა (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ათენის პოლიცია დაკავებულ ქართველებზე საუბრობს




ათენის პოლიციის წარმომადგენლებმა, მედიას დაკავებული ქართველების მიერ ჩადენილი მკვლელობისა და სხვა დანაშაულების დეტალები გააცნეს.

მათი განცხადებით, დამნაშავეთა კვალს პოლიციამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიაგნო. დაკავებულია 5 ბრალდებული, 2-ს კი პოლიცია ამ დრომდე ეძებს.

„2013 წლის 3 სექტემბერს კალითეას რაიონში პირველ სართულზე მცხოვრები 58 წლის მამაკაცი ნაწამები და მოკლული ვიპოვეთ. ის დაბმული იყო სკამზე და სასტიკად იყო ნაცემი. ის იყო ტავერნის მეპატრონე". – განაცხადეს პოლიციაში.

მათივე თქმით, ამავე პირების წინააღმდეგ, მკვლელობის გარდა, საქმე ფალსიფიცირებული სასმელების დამზადება-რეალიზაციის მუხლითაც არის აღძრული, რადგან ბრალდებულთა საცხოვრებელი ბინების ჩხრეკისას ნაპოვნია სპირტით სავსე კონტეინერები, რომლითაც ქართველები სასმელებს არალეგალურად ამზადებდნენ და ასაღებდნენ. ჩხრეკის შედეგად პოლიციამ კარის საკეტების გახსნისთვის საჭირო ინსტრუმენტებიც ამოიღო.

პოლიცია იმედოვნებს, რომ დანაშაულში ბრალდებული სხვა პირების დასაკავებლად ქართველი კოლეგები მათთან ითანამშრომლებენ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სახელმწიფო შონვაძეს 46 000 ლარის კომპენსაციას გადაუხდის



გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტრო, დაცული ტერიტორიების სააგენტოს აღდგენილ ხელმძღვანელს გიორგი შონვაძეს კომპენსაციის სახით 46 000 ლარს ჩაურიცხავს.

მინისტრ ელგუჯა ხოკრიშვილის თქმით, ის მიმდინარე კვირას შეხვდება შონვაძეს.

„პატივს ვცემთ სასამართლოს გადაწყვეტილებას და მისი აღსრულება მოხდება. ასევე, მოხდება გიორგი შონვაძის აღდგენა თანამდებობაზე. ამ კვირაში შევხვდები მას და განვიხილავთ, თვითონ რა გეგმები აქვს და როგორ გაგრძელდება ჩვენი თანამშრომლობა", – განაცხადა ხოკრიშვილმა. (ნიუპოსტი)

## პრეზიდენტს კიდევ ერთი უფლება შეეზღუდა



თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, მშენებლობის ნებართვის გაცემის უფლებამოსილება პრეზიდენტის ნაცვლად მთავრობას ექნება. ნარმანიამ მინისტრთა კაბინეტის წევრებს რამდენიმე საკითხი წარუდგინა, რომელიც მუნიციპალური ტრანსპორტის რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებსა და დასუფთავებას შეეხება.

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებშია მუნიციპალური ტრანსპორტის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხები და დასუფთავება. თბილისის მუნიციპალიტეტი ადგენს შესაბამის ტარიფებს. მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა ზოგადად ჩამონათვალი, ხოლო ტარიფები დადგენილი იქნება უშუალოდ ჩვენ მიერ. ტარიფები არ იცვლება. მხოლოდ ტექნიკური ხასიათის ცვლილება განხორციელდა", – განაცხადა ნარმანიამ. (ნიუპოსტი)


# ჰიპერმარკეტ „გორგიაში" მსოფლიო ბრენდის „გენჩის" ახალი საღებავები უკვე ხელმისაწვდომია




ამიერკავკასიაში პირველმა ჰიპერმარკეტმა „გორგიამ" მსოფლიო ბრენდის „გენჩის" განახლებული საღებავების პრეზენტაცია გამართა. მულტინაციონალური ბრენდის გენერალურმა დირექტორმა ტოლგა კაიალარმა ჰიპერმარკეტ „გორგიას", როგორც ლიდერს სამშენებლო და სარემონტო მასალების გაყიდვის კუთხით, სპეციალური სიგელი გადასცა და თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

მულტინაციონალურმა ბრენდმა „გენჩმა" რებრენდინგი დაასრულა და პირველი ქვეყანა, სადაც ახალი დიზაინისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადებული საღებავები გაიყიდება, საქართველო იქნება. „მოხარული ვართ, რომ საქართველო ის ქვეყანაა, სადაც ჩვენი ბრენდი ძალიან პოპულარულია. მსოფლიოს 58 ქვეყნიდან, რებრენდინგის პროცესი საქართველოდან დავიწყეთ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ ქართველი მომხმარებელი განსაკუთრებული გემოვნებით გამოირჩევა. ვამაყობთ იმით, რომ ჩვენი პარტნიორი საქართველოში ჰიპერმარკეტი „გორგიაა", რადგანაც ის დღეს ბაზარს ყველაზე გამორჩეულ პროდუქტს ყველაზე იაფ ფასად სთავაზობს და ყოველდღიურად ათასეულობით მომხმარებელს მასპინძლობს", – განაცხადა ტოლგა კაილარმა, გენჩის დამფუძნებელმა.

„გენჩი" მულტინაციონალურ კომპანიის „კაილარ ქიმიის" ბრენდია, რომელიც 1976 წელს დაფუძნდა და 58 ქვეყანაში 500 სახის საღებავს ყიდის. საქართველოში ბრენდი „გენჩის" ექსკლუზიური შემომტანია ჰიპერმარკეტი „გორგია".



# იჩქერიის მთავრობის გამოძიების სკანდალური დასკვნა

## საქართველოს შს მინისტრს რუსეთის სპეცსამსახურების დავალების შესრულებაში ამხელენ

სახალხო დამცველთან არსებულმა საზოგადოებრივმა საბჭომ 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაციის საქმის შესწავლა დაასრულა. ანგარიში ასახავს და ეყრდნობა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მოპოვებულ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, რამდენიმე სხვადასხვა წყაროს მიერ იქნა მოწოდებული და კონკრეტული ფაქტის შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ღია წყაროებითაც.

**რა ფაქტები გამოიკვეთა ომბუდსმენთან არსებული საბჭოს დასკვნაში? ვისზე გავა გამოძიება ლაფანყურის საქმეზე? სად გაუჩინარდა 11 დაღუპულიდან ოთხი? რას მოითხოვს საზოგადოებრივი საბჭო ხელისუფლებისგან?**

**„ალიას“ ამ საბჭოს ერთ-ერთი წევრი, ვახტანგ მაისაია** ესაუბრა:

**— ბატონო ვახტანგ, რა გამოიკვეთა ფაქტების შესწავლის შემდეგ, რა იყო გაყალბებული?**

– საზოგადოებრივმა საბჭომ წარმოადგინა ლაფანყურის სპეცოპერაციის დეტალები, ეს არ იყო საგამოძიებო ტიპის კვლევა. ჩვენ წელიწადნახევრის მანძილზე საკმაოდ ინტენსიურად ვმუშაობდით. გამოიკვეთა, რომ ის ინფორმაცია, რაც წინა ხელისუფლების დროს გამოცხადდა შსს-ს მიერ, რომ თურმე დაღესტნიდან გადმოდიოდნენ ჯგუფები ჩვენს ტერიტორიაზე, აღმოჩნდა სიცრუე, მეორე აღმოჩნდა ის, რომ საუბარი იყო რაზმის 11 წევრის დაღუპვაზე და გამოიკვეთა, რომ 7 დაიღუპა.

**— დანარჩენები სად წავიდნენ?**

– აი, ეგ არ ვიცით და უნდა ვკითხოთ გამოძიებას. იქ დაიღუპა შეტაკებისას 4 ოფიცერი, რომლიც სხვადასხვა ძალოვან სტრუქტურებში მსახურობდა. დაიღუპნენ საქართველოს მოქალაქეები და არავინ არ არ გასცა პასუხი მათ ოჯახებს, რატომ აუკრძალეს მათი დამარხვა. ამ თემაზე ტაბუ იყო დადებული და ორჯერ ჩატარდა ექსჰუმაცია. ძალიან ფაქიზი თემაა პანკისის ხეობა, იქ მუშაობას დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ფეთქებადსაშიში რეგიონია გეოპოლიტიკურად. იქ არის ძველი ქისტური ტრადიციები და როცა ეს ადამიანები დასთანხმდნენ მეორედ ექსჰუმაციის ჩატარებას, ეს არის დიდი მიღწევა და კიდევ რომ მალავ ექსჰუმაციის შედეგებს, არ აცნობ მათ, ეს დიდი პრობლემაა. ყბადაღებული გრიფი „საიდუმლოს“ არსებობა უკვე ნიშნავს იმას, რომ მიდის ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევა.

პროკურატურის თანამშრომელი მოვიდა. გამოიძიება 2012 წლის აგვისტოდან მიდის და ორი წლის თავზე რომ არაფერი კონკრეტული არ იდება, იმას ნიშნავს, რომ გამოძიება არ მიმდინარეობს. ჩვენი კომისიის წევრები იმყოფებოდნენ იმ ადგილას, სადაც მოხდა საბრძოლო შეტაკება, იქ დაათვალიერეს ადგილი, ჩაატარეს მოკვლევა, ნივთმტკიცებები აღმოაჩინეს და ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, რომ იქ არავინ ასულა და არ ჩაუტარებია საგამოძიებო მოქმედებები. რატომ მოახდინა ფაქტების უგულვებელყოფა წინა ხელისუფლებამ, როცა საქმე ეხებოდა სამსახურებრივ გადაცდომას? მხოლოდ მძევლის აყვანის მუხლით არის საქმე ისევ აღძრული.

**— დამკვეთის ვინაობა თუ გამოიკვეთა?**

– ჩვენ ასე არ დაგვისვამს საკითხი. ეს არის წმინდა გეოპოლიტიკური და სამხედრო პოლიტიკური საკითხი. ამას ჩვენი საბჭოს კომპეტენცია არ ითვალისწინებდა.

**— ბევრი გავლენიანი ჩინოსანი დაუკავშირეს ამ საქმეს. რა დონის თანამდებობის პირებზე გახვედით ფაქტების მოძიებისას, შესაძლებელია, რომ, მაგალითად, ვანო მერაბიშვილს ბრალი დაუმძიმდეს? ან იგივე მიხეილ სააკაშვილზე გავიდეს გამოძება?**

– ამაზე საუბრისგან თავს შევიკავებ, რომ არ მოვახდინო გამოძიებაზე ზეწოლა, მაგრამ დაიკითხნენ სპეცოპერაციის მონაწილეები, მაგალითად, სანდრო ამირიძე, ასევე ის ადამიანები, რომლებიც ხეობაში ცხოვრობენ, ჭირისუფლები, შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები და ისეთი მომენტები იკვეთება, რომელიც საინტერესო იქნება გამოძიებისთვის. რადგან ჯერ ისევ გრიფი ადევს, ამაზე ვერ ვისაუბრებ ახლა, მაგრამ გამოძიება აუცილებლად დაადგენს ამ დეტალებს და დარწმუნებული ვარ, მაღალჩინოსნებიც დასახელდებიან. ჩვენ დავადგინეთ კონკრეტული ფაქტები და როცა მათ საგამოძიებო ორგანოებს გადავცემთ, ისინი გამოიძიებენ. ჩვენ მათ ვეხმარებით ფაქტების დადგენაში, მე არ მინდა ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო. რადგან მე კომისიის წევრი ვარ, ვერც როგორც ექსპერტი, ვიტყვი რამეს. წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების ბრალეულობაზე კი ერთს გეტყვით, ის ნამდვილად იკვეთება იგივე იჩქერიის რესპუბლიკის მთავრობის მიერ ჩატარებული გამოძიებით. მათ ბევრ რამეზე მიუწვდებათ ხელი, დიდი კავშირები აქვთ ჩეჩნეთში. მათი ლეგიტიმურობა დადასტურებულია უკვე, მოგეხსენებათ, და სწორედ მათ დადეს დასკვნა, სადაც პირდაპირ ფიგურირებს ვანო მერაბიშვილის ბრალეულობა. ისინი პირდაპირ წერენ, რომ ეს იყო რუსეთის სპეცსამსახურების დაკვეთით შესრულებული ამოცანა. ჩვენს ანგარიშშიც მოხსენიებული და დაფიქსირებულია ეს დასკვნა, როგორც ფაქტი და შეიძლება, გამოძიებამ გაითვალისწინოს.

**— თუ პროკურატურამ დაიწყო გამოძიება, სადამდე მივა?**

– შეიძლება გამოიკვეთოს ბევრი მაღალჩინოსნის ბრალეულობა. რატომ დაიღუპნენ ჩვენი მოქალაქეები, ვინ გასცა ბრძანება, ეს უნდა იქნას გამოძიებული. შევარდნაძის დროს, ვიცით, რომ პანკისში მოქმედებდნენ არაფორმალური დაჯგუფებები. იმ დროინდელმა ხელისუფლებამ გონიერება გამოიჩინა და ეს ადამიანები გააძევა პანკისიდან. მაშინ ამით სისხლისღვრა ავიცილეთ. თუ ასეთი რამ მოხდა ლაფანყურში, გამოცდილება გვქონდა და შეგვეძლო ამ ტაქტიკით გვემოქმედა. ნუთუ ამ ადამიანების დარწმუნება და განიარაღება არ შეიძლებოდა სისხლისღვრის გარეშე?

**— პანკისელებისგან ახალი ინფორმაცია თუ გაქვთ, რას ამბობენ ისინი?**

– ისინი ამბობენ, რომ არ მისცეს მიცვალებულის დაკრძალვის საშუალება და მათ აინტერესებთ, რატომ? 2 წლის მერე არსებობს კონკრეტული მსხვერპლი და დაზარალებულად არავინაა ცნობილი. საერთაშორისო პრესაში დიდი ინფორმაცია გადის, რომელიც ეყრდნობა ამერიკის ვეტერანთა ანალიტიკურ ცენტრს, სადაც წერია, რომ მაშინდელი კონტრდაზვერვის მიერ იქნა გადაყვანილი 4 ადამიანი სხვა ქვეყანაში ამ სპეცოპერაციის დროს. ეს ფაქტი არის დამაფიქრებელი. ამ ცენტრის თანამშრომლები დიდი ინტელექტით გამოირჩევიან და ხელწამოსაკრავები არ არიან. ეს იყო სასიგნალო მესიჯი ჩვენი ქვეყნისთვის. პანკისშიც ადასტურებს ამას მოსახლეობის დიდი ნაწილი. რატომ ხდება, რომ მხოლოდ ერთი უწყება აწარმოებს გამოძიებას? შსს თავად მონაწილეობდა ამ სპეცოპერაციაში და ის არის მხარე.

**— რა ეტაპზე ხართ ახლა, დასკვნა დაიწერა და დამთავრდა თქვენი მისია?**

– საბჭომ დაასრულა მუშაობა და უნდა მოვთხოვოთ ხელისუფლებას, გამოძიება გახდეს ტრანსპარანტული, გამოძება აწარმოოს პროკურატურამ და არა შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა, პარლამენტმაც უნდა შექმნას საგამოძიებო კომისია და ისეთ კითხვებზე გასცეს პასუხი, რომლის შესწავლაც ჩვენს კომპეტენციაში არ შედიოდა.

**— რატომ ადევს გრიფი ამ საქმეს, როცა ამდენი პასუხგაუცემელი კითხვაა? იმიტომ დაედო გრიფი, რომ კულუარულად არაერთი ყოფილი მაღალჩინოსნის გვარი დასახელდა, თუ მართლა არის საიდუმლოების შემცველი მომენტები?**

– აბსოლუტურად ვეთანხმები უშიშროების საბჭოს მდივანს, ირინა იმერლიშვილს, რომელმაც თქვა, რომ უნდა მოეხსნას ეს გრიფი. მესიამოვნა, სხდომაზე რომ მოვიდა, დაესწრო ამ შეხვედრას და ამ დროს თავი აარიდეს შეხვედრაზე დასწრებას შსს-ს წარმომადგენლებმა, მხოლოდ

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

# სოკარი აგრძელებს გაზგასამართი სადგურების ქსელის გაფართოებას

**დღეისთვის საქართველოს მასშტაბით კომპანია „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ 22 ავტოგაზგასამართი სადგური ფუნქციონირებს, ხოლო მთლიანი ქსელის მასშტაბით ავტოგასამართი სადგურების რაოდენობა 115-ს აღწევს.**

მიმდინარე წლის ნოემბერში სოკარის ავტოგასამართ ქსელს **ორი** ავტო**გაზ**გასამართი სადგური დაემატა. ავტოგაზგასამართი სადგურები განთავსდა სოკარის უკვე არსებულ ავტოგასამართ სადგურებზე: **კახეთის რეგიონში – ქ. საგარეჯო, კახეთის გზატკეცილის №14-ში და შიდა ქართლის რეგიონში – ქარელის რაიონის, სოფელ ურბნისთან, მრავალფუნქციური კომპლექსის ტერიტორიაზე.**

ამიერიდან ავტომფლობელებს შეეძლებათ, შეიძინონ ნავთობპროდუქტის ახალი ბრენდ „ნანო“-ს საწვავთან ერთად, ასევე ბუნებრივი გაზიც, და ამასთანავე, დააგროვონ სასაჩუქრე ბონუსქულები უნიქარდისა და ენერჯიქარდის ბარათებზე.

სოკარის ახალი ავტოგაზგასამართი სადგურები აღჭურვილია მსოფლიოში აღიარებული იტალიური ბრენდების – „**FORNOVO**“-ს და „**SAFE**“-ს უახლესი ტექნოლოგიებით დამზადებული, გაზ-საკომპრესორო დანადგარებით. აღნიშნული გაზ-საკომპრესორო დანადგარები გამოირჩევა ხმაურის დაბალი დონით, რომლებიც უზრუნველყოფენ სწრაფ, ხარისხიან და უსაფრთხოდ გამართვას.

სოკარის ავტოგაზგასამართ სადგურებზე ავტომობილების მფლობელებს შეეძლებათ, გამოიყენონ სპეციალური სერვის-ბლოკები, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ საბურავების წნევის რეგულირებას, წყლის დამატებას, სალონის ამოწმენდასა და სხვა. ასევე, ავტომფლობელთათვის განთავსებულია უფასო ავტომექანიკური სამრეცხაოები.

„საგარეჯოს“ ავტოგასამართ სადგურზე ფუნქციონირებს სადღეღამისო მარკეტი, ხოლო ურბნისის მრავალფუნქციურ კომპლექსში, საზოგადოებისთვის უკვე კარგად ცნობილი სუპერმარკეტი „გუდვილი“ ელის თავის ერთგულ მომხმარებელს.

აღნიშნულ ობიექტებზე სოკარის მიერ დასაქმებულთა რიცხვი 44 ადამიანია.



# როგორ იჭერდნენ ლარის კურსს „ნაციონალები“ და რატომ გაურბით „მეოცნებეებს“?

## ლარი, დოლარი და ეკონომიკა ბიძინას ეშლება ვითომ?

**რატომ ძვირდება ყოველდღიურად პროდუქტები და აუცილებელი მოხმარების საგნები? რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ და რა აქვს შესაცვლელი? რით ჩანს ლარის კურსის თამაშში ხელოვნური ჩარევის კვალი? როგორ აკავებდნენ კურსს „ნაციონალები“ და რატომ არ კეთდება იგივე დღესაც?**

**„ალიას“ ფინანსური პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე, სერგო ჯავახიძე ესაუბრა:**



**ფინანსთა მინისტრს, ნოდარ ხადურს ჰკითხეს, რატომ ეცემა ბოლო დროს ლარის კურსი ყოველდღიურად. მან დაასახელა ლარის გაუფასურების რამდენიმე მიზეზი: პირველი — რუსეთიდან, უკრაინიდან და საბერძნეთიდან ქართველი ემიგრანტები სამშობლოში აღარ აგზავნიან იმ რაოდენობის დოლარს, რამდენსაც აქამდე აგზავნიდნენ (გამოდის, თუ ემიგრანტებმა ფული აღარ გამოაგზავნეს, ჩვენი ეკონომიკა განადგურდება), მეორე — საქართველოდან აღარ ხდება მეორადი ავტომობილების რეექსპორტი აზერბაიჯანის მიმართულებით. ბოლოს ნოდარ ხადურმა მაინც ოცნების იმედად დაგვტოვა, მან გვითხრა, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც კარგ მომავალზე უნდა ვიოცნებოთ. ამასობაში კი კურსი ახალ სარეკორდო ნიშნულამდე დაეცა 1 დოლარი — 1.86 ლარი.**

– ნოდარ ხადური ერთ ნაწილში არ ტყუის, რუსეთში რუბლის კურსი გარბის, სანქციებია დაწესებული უამრავი მიმართულებით, ბიზნესი ცუდ დღეშია და იქიდან საქართველოში იმ რაოდენობის ფული ვეღარ იგზავნება, რამდენიც ადრე იგზავნებოდა. ასევე არეულია სიტუაცია უკრაინაში, თუ იქ ვინმე ნორმალური ქართველი ბიზნესმენია, ცდილობს, არეულობას გაერიდოს, და ფული სხვაგან დააბანდოს. რაც შეეხება საბერძნეთს, თუ ადრე ქართველებს სამსახურში უხდიდნენ 1500 ევროს, ახლა უხდიან 500 ევროს. საერთოდ, ნოემბრის ბოლოს, დეკემბრის დასაწყისში დოლარის კურსის აწევა ყოველთვის ხდება ხოლმე, შარშან ამ დროს დოლარი ღირდა 1.81 ლარი, გადაიარა ახალმა წელმა და წამოვიდა ქვემოთ, ეს იყო ბუნებრივი პროცესი, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ახლა საქმე გვაქვს ხელოვნურ ჩარევასთანაც და გარე ფაქტორებთანაც. თუ გახსოვს, ჩვენ ცოტა ხნის წინ ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ხელისუფლებამ 2014 წლის ბიუჯეტიდან სადღაც 2 მილიარდამდე ვერ გახარჯა, ვერ მოასწრო, დაფინანსებული პროექტები შეჩერდა. შენ წარმოიდგინე, ეს 2 მილიარდიც რომ გამოეშვათ, რა მოხდებოდა. ახლა ეროვნულმა ბანკმა სადღაც 50 მილიონი იაფი დოლარი რომ გამოიტანოს, კურსი ჩამოვარდებოდა დაბლა, მაგრამ როგორც ვიცი, შიგნით კიდევ რაღაცაზე ჭიდაობენ.

**— ეს დროებითი ღონისძიება იქნება და ამიტომ ჭიდაობენ?**

– კი, თვე-ნახევარი შეაკავებს ლარის კურსის ვარდნას და მერე ისევ ამ მდგომარეობას დავუბრუნდებით. მოდი, განვიხილოთ შემდეგი მიზეზები. აქ თითქოს კურიოზთან გვაქვს საქმე, არავის უჩნდება კითხვა: რატომ დაიწყო ჯერ ფასების ზრდა და შემდეგ ლარის კურსის დაცემა? ოქტომბერში ბოსტნეული გაძვირებულია 12,5 პროცენტით. დღეს ხელისუფლებაში ამაყობენ, კახელ გლეხებს დავეხმარეთ, ყურძენი ძვირად ჩააბარეს, ამ რეგიონში მილიონები წავიდაო, მეორე – ასევე ამაყობენ, საყოველთაო დაზღვევა მაგარი რამეა, ამაში მილიარდებს ვხარჯავთო. სინამდვილეში ორივე გვლუპავს, ხელისუფლება კი პატიოსნად აფინანსებს ჯანდაცვას, მაგრამ კერძო კლინიკებმა გააძვირეს თავიანთი მომსახურება. თუ ადრე ბრმა ნაწლავის ოპერაცია ღირდა 500 ლარი, ახლა ღირს 800 ლარი. ზოგიერთი კლინიკა „ფორმა 100“-ს იძლევა 2 ათას ლარზე, მაინც ბიუჯეტი იხდის, რა გენაღვლებათო? როდესაც შენ ყურძნის ფასში ხელოვნურად ერევი და ფასს უმატებ, ეს გლეხისთვის ერთი შეხედვით კარგია, მაგრამ პრობლემა თავს იჩენს რამდენიმე თვეში. სექტემბერში რომ კახეთში, დავუშვათ, 100 მილიონი წავიდა, ამან ახლა წამოყო თავი, გავიდა ბრუნვაში ეს ფული. უკვე ვთქვი, ყველაფერი ძვირდება-მეთქი, თუ ადრე ბინას 200 ლარად იქირავებდი, ახლა 400 გახდა.

**— სერგო, როდესაც 2015 წლის ბიუჯეტის პროექტი ვნახე, იქ დაფიქსირებულია ლარის ინფლაციის წლიური პროგნოზი 3,5 პროცენტი. გამოდის, ეს პროგნოზიც მცდარია.**

– ლარის ინფლაციას ზუსტად ვერ გათვლიან, კიდევ როგორ გართულდება პოლიტიკური ვითარება უკრაინასა და რუსეთში, ამათ წინასწარ რა იციან? ამაზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. კი, ბატონო, ეს ვიცით და დავანებოთ თავი, ჩვენ გვაქვს ერთი ამოცანა ამოსახსნელი: როგორც წესი, პროდუქციაზე ფასები იზრდება მაშინ, როცა ძვირდება დოლარი, ხომ? ოქტომბრის დასაწყისში ეს არ შეიმჩნეოდა, დოლარი სტაბილური იყო, რატომ დაიწყო უცებ პროდუქციის გაძვირება? გასაგებია ჯანდაცვა, გასაგებია ყურძნის ფასის ხელოვნურად მომატება, გასაგებია გარე ფაქტორები, მაგრამ, ჩემი აზრით, კიდევ რაღაც ხელოვნურად ჩარევასთან გვაქვს საქმე. სექტემბრის ბოლოს დოლარის კურსი ვარდებოდა და წესით, პროდუქცია უნდა გაიაფებულიყო. ასეთი რაღაცა ხელოვნური ჩარევის გარეშე არ ხდება, ფასები უნდა ფორმირდებოდეს ბუნებრივად და არა პოლიტიკურად. ბიზნესი ძალიან მგრძნობიარე თემაა, ან სადღაც შეცდომა აქვთ დაშვებული და თვითონაც არ იციან, ან კიდევ პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

**— სერგო, როგორ შეიძლება, რომელიმე ხელისუფლებას უნდოდეს ხელოვნურად ფასების აწევა, ეს ხომ ისევ მას ურტყამს?**

– მეც ძალიან მინდოდა, რომ კახელ გლეხს მეტი შემოსავალი მიეღო, ასევე მინდოდა, სამცხე-ჯავახეთში კარტოფილი ძვირი ყოფილიყო და გლეხს მეტი მიეღო, მაგრამ ეს ჩემთვის არის პოლიტიკური სურვილი. ხელისუფლება ცდილობს, ახეიროს გლეხი, ახეიროს ბიზნესის რომელიღაცა სფერო ხელოვნურად და ამ დროს ეს ყველაფერი არტყამს ეკონომიკას, ჩვენს ჯიბეს, არტყამს ლარის კურსს. ეს ისე უნდა გააკეთო, რომ სხვა სფეროები არ დააზარალო, მარტო კახელი გლეხი და აჭარელი მეკარტოფილე ხომ არ ცხოვრობს ამ ქვეყანაში? უკვე 3 თვეა, რაც ახალ პროექტზე ლაპარაკობენ – „აწარმოე საქართველოში“, თუ აქ მხოლოდ ფული ჩაიდო და პროდუქცია არ წამოვიდა შესაბამისი რაოდენობით, იგივე სურათს მივიღებთ. ამის შედეგებს ვიგრძნობთ რამდენიმე თვის შემდეგ.

**— ანუ შენ ამბობ, რომ კიდევ სადღაც აქვთ გაშვებული დიდი რაოდენობით ფული ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში?**

– კი, სხვანაირად უცებ ფასების მომატება არ უნდა დაწყებულიყო, სადღაც კიდევ იყო ხელოვნური ჩარევა. ეს ყველაფერი დაიწყო მაშინ, როცა დოლარი 1.70-ზე იყო ჩამოსული. ეს ძალიან დიდი ნონსენსია. ასევე გასაკონტროლებელია საყოველთაო დაზღვევა, ანუ კერძო კლინიკების ნიხრები, 5 დღე რომ კაცი დაწვება და მარტო „კოიკაში“ 700 ლარს გადაიხდის, ეს სადაური წესია? მე დაგიწერ, ძმაო, გაზრდილ თანხას, წაიღე, ჯანდაცვის სამინისტრო დააფინანსებს. აქ ერთ ადამიანზე ხომ არ არის ლაპარაკი? ამ დაზღვევით მილიონობით ადამიანი სარგებლობს. კი, ხალხმა ამოისუნთქა, მაგრამ საბოლოო ჯამში, თუ არ გააკონტროლებ, ხელოვნურად რომ ზრდიან ფასებს, ესეც ეკონომიკას ურტყამს. ეს საკითხიც ხელოვნურ ჩარევაში გადის. ხელისუფლებამ კვლევა უნდა ჩაატაროს, სიტუაცია გაანალიზოს და დაადგინოს, რაშია საქმე. ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა გადასახედია, როცა შენ ვერ ქმნი საწარმოებს, ვერ ქმნი პროდუქციას და ამ დროს დაფინანსებას უზრდი საბიუჯეტო ორგანიზაციებს, ლარი გაგექცევა, აბა, რას იზამს?

**— სერგო, „ნაციონალები“ როგორ იჭერდნენ ლარის კურსს და როგორ აბალანსებდნენ ფასებს?**

– „ნაციონალებს“ ფულის რესურსი სულ ჰქონდათ, როგორც კი დაიწყებოდა ლარის ინფლაცია, ეროვნული ბანკიდან გამოჰქონდათ 50-60 მილიონი და ასყიდებდნენ იაფად კომერციულ ბანკებს. ხშირად ხდებოდა, რომ კომერციული ბანკები კი გასცემდნენ შემდეგ იაფად, მაგრამ სავალუტო ჯიხურები კურსს არ აგდებდნენ. აქ უკვე საქმეში ერთვებოდა ფინანსური პოლიცია, ჩამოუვლიდნენ ხოლმე და ეუბნებოდნენ, კურსი გაუთანაბრეთ გამოცხადებულს, თორემ დედას მოგიტ...ნავთო. იმათაც სხვა რა გზა ჰქონდათ?

**— საოცარია, მიშა სააკაშვილი ეკონომიკის გარტყმაში არ იყო, კურსს იჭერდა, ბიძინა ივანიშვილმა მილიარდები იშოვა, იმდენად კარგად ესმის ეკონომიკა და მის ხელისუფლებას ლარი გაურბის.**

– ეროვნულ ბანკს შეუძლია, გააკეთოს ის, რასაც აკეთებდნენ „ნაციონალები“ და სხვათა შორის, 2013 წელს ასე გაკეთდა კიდეც, ერთი პერიოდი ლარი გაიქცა და ამ მეთოდით დაიჭირეს, მაგრამ როგორც ჩანს, ახლა ეროვნული ბანკი ამაზე არ მიდის.

**— ანუ ხელისუფლებას არ ემორჩილება?**

– ეგ არ ვიცი, უკვე გითხარი, რომ შიგნით ჭიდაობა მიდის. ჩემი აზრით, თავს იმიტომ იკავებენ, რომ ჰგონიათ, ახალი წლის შემდეგ ლარის კურსი თვითონ დასტაბილურდება. მოკლედ, ელოდებიან, თუ არ დასტაბილურდა, მერე შემოუშვებენ იაფ დოლარს. ერთი მხრივ კარგიცაა, რომ მიშას მეთოდებით არ მუშაობენ, რომ არა ხელოვნური ჩარევები ეკონომიკაში, რაზეც უკვე ვილაპარაკე, კურსი უნდა იყოს მიშვებული და გაჩერდეს ბუნებრივ ნიშნულზე. ვნახოთ, რას გააკეთებენ, ეს მალე გამოჩნდება.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „ბიუჯეტში მნიშვნელოვანი გარღვევაა მოსალოდნელი“



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრის ზურა ჯაფარიძის განცხადებით, 2014 წლის ბიუჯეტში, სავარაუდოდ, მნიშვნელოვანი გარღვევა იქნება. მისი განცხადებით, თუ დეკემბერში მთავრობას მოუწევს იგივე რაოდენობით შემოსულობების მიღება და გადასახადების გადახდა, როგორც ნოემბერში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში გაირღვევა დაახლოებით 700-800 მილიონი ლარით, საგადასახადო შემოსავლების ნაწილში – დაახლოებით 100-150 მილიონი ლარით, ხოლო გადასახდელების ნაწილში დაახლოებით 700-800 მილიონი ლარით.

„სერიოზული პრობლემებია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით. 2014 წლის ბიუჯეტით დაგეგმილია 9 მილიარდ 105 მილიონი ლარის შემოსულობების მიღება. აქედან, საგადასახადო შემოსავლების გეგმა შეადგენს 6 მილიარდ 820 მილიონ ლარს, ხოლო გადასახდელების მხრივ დაგეგმილია 9 მილიარდ 80 მილიონი ლარის გახარჯვა. 1 დეკემბრის მდგომარეობით, იმისთვის რომ ბიუჯეტი შესრულდეს, საჭიროა წლის ბოლომდე 1 მილიარდ 344.100.000 ლარის შემოსულობების მიღება (დაგეგმილის 15%), 710 მილიონი ლარის გადასახადების აკრეფა და 1 მილიარდ 423.100.000 ლარის გადასახდელების გადახდა (დაგეგმილის 16%). ჩვენ შეგვიძლია, დანამდვილებით ვთქვათ, რომ 1 თვეში ამის გაკეთება არის შეუძლებელია.

ჯაფარიძის თქმით, მთავრობა უკვე ორი წელია, ვერ ახერხებს ბიუჯეტის დაგეგმვას და შესრულებას, ხოლო გარღვეული ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ დაიკარგება უამრავი სამუშაო ადგილი, რომელიც უნდა შექმნილიყო. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## ახალი ინფორმაცია მართვის მოწმობის აღების მსურველთათვის




შსს-ს მომსახურების სააგენტო მართვის მოწმობის გამოცდასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„მართვის მოწმობის აღების მსურველთა დიდი ნაკადის გამო, რაც თეორიულ გამოცდაში დაგეგმილმა ცვლილებებმა გამოიწვია, გაცნობებთ რომ 10 დეკემბრამდე მომსახურების სააგენტოს ყველა სტრუქტურულ ერთეულში მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე განაცხადების მიღება, ნაცვლად 16:30 საათისა იწარმოებს 15:00 სთ-მდე, რათა თითოეულმა მსურველმა შეფერხების გარეშე შეძლოს პრაქტიკულ გამოცდაზე გასვლა.

შეგახსენებთ რომ 2014 წლის 15 დეკემბრიდან შსს-ს მომსახურების სააგენტოში მძღოლობის კანდიდატები მართვის მოწმობის გამოცდას ახალი **3D** ბილეთებით ჩააბარებენ.

გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბილეთები გართულებულია, სიმართლეს არ შეესაბამება. რადგან ახალ ბილეთებში დახვეწილია კითხვის როგორც შინაარსი, ასევე ფორმა და ვიზუალური მხარე. გამოყენებულია სიტუაციის აღმწერი ვიდეორგოლები, რის საშუალებითაც მართვის მოწმობის მსურველს სიტუაციის უკეთესად აღქმისა და გაანალიზების საშუალება ეძლევა. ბილეთებში აღქმის გასაიოლებლად გამოყენებულია საქართველოს ავტომაგისტრალების, თბილისის, ბათუმისა და ქუთაისის ქუჩების ფოტო-ვიდეომასალა. ამასთანავე, ელექტრონული ტესტირებისას მეტი თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია საგზაო მოძრაობის კონკრეტული ელემენტის ახლო მანძილიდან დანახვა“, – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რატომ აკრძალა ილიაუნის რექტორმა მამაოს ლექციები?

## რას ამბობს მამა თეოდორე გიგნაძე „ალიასთან“ საუბარში?

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მართლმადიდებელ მღვდელმსახურს, დეკანოზ თეოდორე გიგნაძესა და სტუდენტთა ნაწილს დაუპირისპირდა. სტუდენტების თხოვნითა და თვითმმართველობის ინიციატივით უკვე დაწყებული იყო შეხვედრების ციკლი – „მე ვარ ჭეშმარიტება“ და ლექციათა ციკლი რელიგიურ თემატიკაზე ერთი წლის განმავლობაში დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს უნდა ჩაეტარებინა. ასეთი გახლდათ თვითმმართველობისა და უნივერსიტეტის რექტორის გიგა ზედანიას შეთანხმება და შეხვედრების გამართვა თვეში ერთხელ იყო დაგეგმილი. სტუდენტების თქმით, პირველმა შეხვედრამ, რომელიც ნოემბრის დასაწყისში გაიმართა, დიდი ინტერესით ჩაიარა. თუმცა, მოულოდნელად, მორიგი შეხვედრა უკვე რექტორატის გადაწყვეტილებით გაუქმებულია: „როდესაც მოვიდა მეორე შეხვედრის დრო, უნივერსიტეტის რექტორმა გიგა ზედანიამ დაიბარა თვითმმართველობის წევრები და მოსთხოვა, რომ შეხვედრების ციკლი შეწყვეტილიყო, მიზეზად კი სხვა სტუდენტების უფლებების შელახვა დაასახელა“, – აცხადებენ უნივერსიტეტის სტუდენტები.

**რა მოხდა სინამდვილეში? ვინ ჩაერია საქმეში? რა მიზეზებსა და მოტივებზე საუბრობენ უნივერსიტეტში? რა განუცხადა „ალიას“ ჩაშლილი ლექციების ციკლის შესახებ მამამ?**

**„ალიას“ ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ზურაბ გაგნიძე ესაუბრა:**

– მოვიკითხე ეს ამბავი და, თვითმართველობიდან როგორც მითხრეს, ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო ამ ლექციას, 500 სტუდენტზე მეტი და რექტორმა განაცხადა, რომ ამას მასობრივი სახე არ უნდა ჰქონდესო, რადგანაც უნივერსიტეტი ის სივრცეა, რაზეც არანაირი რელიგიური და პარტიული გავლენა არ უნდა ხდებოდეს და ამისთვის არასაუნივერსიტეტო სივრცე აირჩიეთო. მე ის გამიკვირდა, იმ ერთ ლექციასაც რომ დასთანხმდნენ. ზედანიას ეტყობა, შენიშვნა მისცეს, ეგ ხომ მთლიანად იზიარებს თევზაძის აზრებს, სხვანაირად ვერ ეღირსებოდა მაგ ადგილს. მაგათ რელიგია საერთოდ არ სწამთ და იმ ლექციამ, რომელიც ილიაუნში ჩატარდა, ბევრი სტუდენტი აიყოლია, გადავსებული ყოფილა დარბაზი და ამის გამო მაგრად დაფეთდნენ დირექციაში. ილიას უნივერსიტეტი ანტირელიგიურია მთლიანად და რა სხვა კონფესიები? სადაა სხვა კონფესიები? ტრადიციულ რელიგიებს ვერ იტანენ, ეგენი არიან მწარე ათეისტები. მაგათი აზრით, არ უნდა იკითხებოდეს მამა თეოდორეს ლექციები და უნდა იკითხებოდეს ბურჭულაძისა და დეისაძის ლექციები და მაგათ უნდა აჯილდოებდნენ პრემიებით. ეგენი მსოფლმხედველობრივად რომ ვერ იტანენ რელიგიას, იქიდანაც ჩანს, რომ თუ გახსოვთ, გიგი თევზაძემ ისიც თქვა, სტუდენტებს სალოცავ კუთხეს ტუალეტთან გავუკეთებ და ხატებს იქ ჩამოვკიდებო. ასეთი დამოკიდებულების ხალხია, რომლებიც ებრძოდნენ კათალიკოსს წლების მანძილზე და ამის კიდევ ერთი დადასტურებაა ზედანიას მიერ ლექციების აკრძალვა, ეგენი თავის გეზს არ შეცვლიან.



არც სარწმუნოება. ილიას სახელს კი იმიტომ იყენებენ, რომ სტუდენტები მიიზიდონ.

**— რაც შეეხება სხვა ინფორმაციებს, რა ხდება ზოგადად ილიაუნში?**

– სააკაშვილმა და მისი გუნდის წევრებმა რომ გზა გაიხსნეს უკრაინაში, ჯერ კახა ბენდუქიძეზე იყო ლაპარაკი, მერე ეკა ზღულაძეზე და სანდრო კვიტაშვილი სად არის, იცით? ლვოვის საოლქო ადმინისტრაციის ჯანდაცვისა და სოციალური დეპარტამენტის მთავარი მრჩეველია.

**— კი, მაგრამ ორმაგი მოქალაქეობის დროს საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად უუქმდებათ.**

– მერე პრეზიდენტი მარგველაშვილი როგორ გგონიათ, არ დაეხმარება? თემას გავაგრძელებ და გეტყვით, რომ გიგი თევზაძეს სურს, უკრაინაში განათლების საკითხები მას ჩააბარონ. ერთი აქ გააკეთა ჰარვარდი და ერთი იმ უკრაინელებს შეუქმნის. ამას ემატება ისიც, რომ რასაც ვითხოვდით ამდენი წელი, ამ უზარმაზარი გაერთიანების დაშლას, რასაც დღეს ილიაუნი ჰქვია, ეს დაშლა დაიწყო და ეტყობა, კალაძის დახმარებით სპორტის აკადემიამ მიაღწია იმას, რომ, ფაქტობრივად, ცალკე გამოიყო, ოღონდ შენობის გარეშე. ეს შენობა კი, როგორც ამბობენ, არის გიგისა და მისი მეგობრების ხელში, ანუ, კერძო საკუთრებაა, ისევე, როგორც ობსერვატორია. დღევანდელი კანონმდებლობით, მისი ხელისხლება არ შეიძლება, მაგრამ აკადემია მზად არის, შენობა იქირაოს და ისე გავა ჯერჯერობით. ყოველ შემთხვევაში, ფიზკულტურა ზედანიას გაექცა. უცხო ენების უნივერსიტეტსაც უნდა გასვლა, მაგრამ ჯერ ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ვანო კილურაძის იმედი გვაქვს და ვნახოთ. ძალიან გვაინტერესებს პროფესორებს, თუ უცხო ენებიც გამოიყოფა, გამოჩნდება, თევზაძეს ეგ შენობა ნაყიდი აქვს თუ არა და თუ გიგი თევზაძეს უკრაინის ამბავი გამოუვიდა, თავის ხალხს წაიყვანს იქ და ეგება, ჩვენც გვეშველოს, ათეისტები მოგვშორდებიან.

**ინტერვიუს შემდეგ კომენტარისთვის დავუკავშირდით დეკანოზ თეოდორე გიგნაძეს:**

– სანამ იმას გეტყოდეთ, რა მოხდა ილიას უნივერსიტეტში, მოკლე ექსკურსს გაგაცნობთ: თითქმის ექვსი წელია, ჟურნალ „კარიბჭეს“ ორგანიზებით საგანმანათლებლო მიზნით იმართება რელიგიური საუბრები სხვადასხვა რელიგიაზე და ქრისტიანობაზე, ცხადია, და ილიაუნში სწორედ „კარიბჭეს“ მოწვევით მივედი. ჩატარდა ერთი ლექცია და ბევრი იყო მსმენელი, თან სულ ახალგაზრდები. ეს საგანმანათლებლო ხასიათის საუბრებია და დიდხანს გრძელდება.

**— და აქ რა მოხდა?**

– არაფერი, აი, ასე! ეტყობა, ამ ადამიანებს არ სურთ, რომ ჩვენი ახალგაზრდები რელიგიის თვალსაზრისით იყვნენ განათლებულები. ამ დროს, ამ საკითხებში გაურკვევლობა დამანგრეველია ადამიანისთვის. თან, ვიმეორებ, ეს არ იყო კონფესიური სახის შეხვედრა.

**— მაშ, რამდენად შეილახა სხვა კონფესიის სტუდენტთა უფლებები?**

– ეს იმდენად სასაცილო მიზეზია, მეღიმება. იქ იყო თავისუფალი დასწრება, ანუ ვისაც უნდოდა, ის დაესწრებოდა. ამ რექტორს არ ვიცნობ და არ ვიცი, რამდენად ამოჩემებული აქვს მას მართლმადიდებლობა, მაგრამ ის არ დაინტერესდა ამ ლექციით, მას რომ წინასწარ ჩანაწერი მოეთხოვა და მოესმინა, დარწმუნებული ვარ, საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა და, თუ ის სხვის აზრს დაუსწრებლად იზიარებს, ეს სერიოზული მინუსია. თევზაძე ცოტა უცნაური რექტორი იყო და მეგონა, ახალი რომ მოვიდოდა, ის სხვა განწყობით იქნებოდა. სიმართლე გითხრათ, დასაწყისში მე მათი თანხმობაც გამიკვირდა. მაგრამ ფაქტია, რომ ისინი დაგვეთანხმნენ: იყო გამოყოფილი დარბაზი, აფიშები, სკამები, მაგრამ რომ ნახეს, რომ უამრავი ხალხი მოგვაწყდა, პერსპექტივისა და მართალი სიტყვის შეეშინდათ.

**თორნიკე ჩიქოვანი,** თვითმმართველობის პრეზიდენტი:

– ეს არ იყო ციკლი, ჩვენ შევთანხმდით ერთ შეხვედრაზე და როცა ვნახეთ, რომ ბევრი ხალხი დაესწრო, შეთავაზება იყო, კიდევ გავაკეთოთო, მაგრამ ეს ჩვენზე არ იყო დამოკიდებული, ამიტომ დავწერეთ წარდგინება, მაგრამ რექტორმა გვითხრა, უნივერსიტეტში რელიგიური და პარტიული ქადაგება არ უნდა იყოსო. ამას წყვეტს აკადემიური საბჭო, რომელიც მართავს უნივერსიტეტს და მათ გადაწყვიტეს, რომ რელიგია არ უნდა იყოს უნივერსიტეტში.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## პრეზიდენტმა პარლამენტს ცესკოს წევრის კანდიდატურები წარუდგინა



პრეზიდენტმა ცესკოს წევრის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე პარლამენტს ლევან ტურაშვილისა და ზურაბ ხრიკაძეს კანდიდატურები წარუდგინა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის დავით პატარაიას განცხადებით, კანდიდატების შერჩევა გამჭვირვალე პროცედურებით მიმდინარეობდა.

„საკონკურსო კომისია დაკომპლექტებული იყო 6 წევრისგან, რომელთაგან 3 არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი იყო, ხოლო 3 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელი. კანდიდატებს საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით შთამბეჭდავი გამოცდილება აქვთ. მათ მონაწილეობა აქვთ მიღებული როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პროექტებში“, – განაცხადა პატარაიამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## 2015 წელს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაფინანსება გაიზრდება



2015 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტი საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და მთავრობის ბიუჯეტის გაზრდას ითვალისწინებს.

პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის ბიუჯეტიდან დამატებით 800 ათასი ლარია გათვალისწინებული, ჯამში, პრეზიდენტის ადმინისტრაცია 9 მილიონ 800 ათასი ლარით დაფინანსდება. ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, 2014 წლისთვის მთავრობის ადმინისტრაციის ასიგნება 20 მილიონი ლარი წარმოადგენდა, 2015 წლის საბიუჯეტო პროექტით კი, გათვალისწინებულია 32 მილიონ 500 ათასი ლარი. იზრდება მთავრობის ადმინისტრაციაში მომუშავეთა რიცხოვნობაც. აღნიშნულს ფინანსთა სამინისტრო მთავრობის ადმინისტრაციის ფარგლებში ეკონომიკური საბჭოსა და კრიზისების მართვის საბჭოს შექმნით ხსნის. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





# რას მოიმოქმედებს უკრაინის პრეზიდენტი ღარიბაშვილის ჩატანილ კომპრომატებზე?

უკრაინის ახალი ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილსა და მისი გუნდის წევრებს მაღალ-მაღალ პოსტებს სთავაზობს. თავად სააკაშვილი ვიცე-პრემიერად განიხილებოდა, მაგრამ მან თავად თქვა უარი ამ თანამდებობაზე. თუ სააკაშვილს კიდევ რაიმე დაეჯერება, მისი თქმით, ამ თანამდებობაზე მხოლოდ იმიტომ თქვა უარი, რომ უკრაინის ხელისუფლებაში თუ დაიწყებდა მუშაობას, ამ ქვეყნის მოქალაქეობა უნდა მიეღო და ავტომატურად მოუწევდა საქართველოს მოქალაქეობის დატოვება, საქართველოს მოქალაქეობას ვერ შეველიეო, ირწმუნება მიშა. თუმცა, ეს ბევრს არაფერს ცვლის, ფაქტია, რომ საქართველოს პროკურატურამ ამ კაცს ხუთი ბრალი წაუყენა, იძებნება და ჩვენს მეგობრად წოდებული უკრაინა ამხელა პოსტს სთავაზობს ამ ძებნილ და დამნაშავე ექსპრეზიდენტს.

თუმცა, მარტო ეს არ არის. ასევე ბრალდებული, ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნილი ზურაბ ადეიშვილი უკრაინის ანტიკორუფციული სამსახურის უფროსად განიხილება. როგორ ებრძოლა კორუფციას და როგორ ჩამოაყალიბა საქართველოში ელიტური კორუფცია, სხვა თანაგუნდელებთან ერთად, ესეც ყველამ ვიცით. ასევე, უკვე ცნობილია, რომ უკრაინის ჯანდაცვის მინისტრად განიხილეს სანდრო კვიტაშვილის კანდიდატურა, მეტიც, მან უკრაინის მოქალაქეობა უკვე მიიღო და თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ პოსტს დაიკავებს. უკრაინის მოქალაქეობაზე განაცხადი უკვე შეიტანა საქართველოს შს მინისტრის ყოფილმა მოადგილემ, ეკა ზღულაძემ. ის უკრაინის ამავე უწყებაში მინისტრის მოადგილედ განიხილება.

მოკლედ, „ნაციონალები", რომელთაც ამ ქვეყნისთვის ავისა და უბედურების მეტი არაფერი მოუტანიათ, უკრაინის ხელისუფლებაში საკვანძო პოსტებზე შეიძლება დანიშნონ. უკრაინული მედია, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებზე დაყრდნობით აცხადებს, რომ ეს არ არის სრული სია იმ ქართველებისა, რომელთაც, სავარაუდოდ, უკრაინის ხელისუფლებში დაასაქმებენ.

რასთან გვაქვს საქმე? რატომ ეტანება ასე ქართველ ყოფილ ჩინოვნიკებს უკრაინის ხელისუფლება? „ნაციონალთათვის" ამხელა პოსტების შეთავაზება მარტო პოროშენკო-სააკაშვილის მეგობრობის შედეგია თუ სხვა რაიმესთან გვაქვს საქმე?

„ალიას" ამ და სხვა კითხვებს, პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** უპასუხებს:

**— ბატონო რამაზ, მიხეილ სააკაშვილმა უარი კი განაცხადა უკრაინის ვიცე-პრემიერის თანამდებობაზე, მაგრამ ეს პოსტი ძებნილ პრეზიდენტს რომ შესთავაზეს, უკვე ბევრს ნიშნავს. აქვე შეგახსენებთ, რომ სანდრო კვიტაშვილს მინისტრთა კაბინეტის წევრობას სთავაზობენ. „ნაციონალთა" სიყვარული აუტყდა პოროშენკოს? რეალურად, რა ტენდენციასთან გვაქვს საქმე?**

– ეს იმის ნიშანია, რომ უკრაინას აქვს ძალიან ძლიერი საკადრო დეფიციტი. ჩვენ საკადრო დეფიციტი სხვისი რა უნდა გაგვიკვირდეს, ძალიან ხშირად გვქონია, მაგრამ ამ გასაჭირის მიუხედავად, სხვა ქვეყნის მოქალაქე აგვეყვანა სახელმწიფო სამსახურში და თანაც საკვანძო პოზიციებზე, არ წამოწეულა და არ დასმულა არასოდეს. ერთადერთი შემთხვევა სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა იყო, მაგრამ ზურაბიშვილი ქართველ ემიგრანტთა შთამომავალია, ქართველია და ეს სხვა შემთხვევაა.

**— მარტო საკადრო დეფიციტის ბრალია? ეს ხომ არ არის დასავლეთის მცდელობა, რომ უკვე გაკოტრებული „ნაცმოძრაობის" რეანიმაცია მოახდინოს უკრაინაში მათი პოლიტიკური ბირთვის ნაწილის ხელისუფლებაში დასაქმებით და მათ პროდასავლური, რეფორმატორი პარტიის იმიჯი შეუნარჩუნოს?**

– დასაშვები ვერსიაა, მაგრამ ჯერ მაგის დაბრალების საფუძველი დასავლეთისთვის არ გაგვაჩნია, იმის მიუხედავად, რომ მისი დამოკიდებულება „ნაცმოძრაობის" მიმართ ძალიან კარგად ვიცით. ხშირად იცავს დასავლეთი „ნაცმოძრაობას", მაშინაც კი, როცა დასაცავი არ არის. თუ ეს ხალხი მართლა დასაქმდა უკრაინაში წამყვან სახელმწიფო თანამდებობებზე, ვფიქრობ, ეს უფრო „ნაცმოძრაობის" პიარის დამსახურება იქნება.

**— აქვე სააკაშვილ-პოროშენკოს მეგობრობაც უნდა გავიხსენოთ, მარტო პიართან რომ გვქონდეს საქმე, მეეჭვება. დავიჯეროთ, იმხელა გავლენა აქვს სააკაშვილს პოროშენკოზე, რომ ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი პარტნიორ ქვეყანასთან ურთიერთობის გასაფუჭებლად მზად არის? სააკაშვილს თავი დავანებოთ და ინტერპოლის ძებნილი ზურაბ ადეიშვილი თუ უკრაინის მინისტრთა კაბინეტის წევრი გახდა, ეს საქართველო-უკრაინის ურთიერთობაზე ნამდვილად ცუდად აისახება.**

– უკრაინის ხელისუფლება, ძალიან უცნაურ ნაბიჯებს დგამს და თავისთავად ცხადია, რომ ეს ჩვენს შორის დადებითად არ აისახება. ამ დღეებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინაში მიემგზავრება და იქ შეხვდება უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს. ჩემი ვარაუდით, ჩვენი პრემიერი უკრაინის ხელისუფლებას დასანიშნ „ნაციონალებზე" მიაწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციებს, ისეთს, რაც ჩვენ არ ვიცით და რაც უნდა ვიცოდეთ. ამგვარი ინფორმაციები მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკის დონეზე შეიძლება მიეწოდოს კონკრეტულ მხარეს.

პრემიერი უკრაინის ხელისუფალთ კარგს რომ არაფერს ეტყვის „ნაციონალებზე", ეს თქვენც კარგად იცით. საქართველოს ხელისუფლებას სააკაშვილისა და ადეიშვილის წინააღმდეგ გამოცხადებული აქვს სამართლებრივი დევნა, მათ შორის, ადეიშვილს ინტერპოლი ეძებს. ეს ხალხი უკრაინაში რომ აღმოჩნდეს მაღალ თანამდებობებზე, ვფიქრობ, საჭიროა იმ დონეზე საუბარი, სადაც ადამიანები ერთმანეთს ასეთ რამეებს ეუბნებიან. ჩვენი პრემიერი შეხვდება უკრაინის ხელისუფლების გავლენიან წარმომადგენლებს, მათ შორის პრეზიდენტ პოროშენკოს და მათ მიაწვდის საჭირო ინფორმაციას. შესაძლოა, არამხოლოდ დღევანდელი ხელისუფლების მიერ ამ პერსონებზე აღძრული სისხლის სამართლის დეტალები გააცნოს, უფრო მოსალოდნელია, რომ თავად სააკაშვილის ხელისუფლების მიერ, იმავე ხელისუფლების წარმომადგენლებზე აღძრული საქმეები გააცნოს, რის შესახებაც უკრაინაში წარმოდგენა ნამდვილად არ აქვთ. ამგვარი საქმეები, სხვადასხვა უწყებაში, არაერთი „ნაციონალი" ლიდერის მიმართ იყო აღძრული და სხვადასხვა მიზეზით შეჩერებული. გარდა ამისა, სავარაუდოდ, ჩვენი პრემიერი უკრაინის პრეზიდენტს ბევრ ისეთ ინფორმაციას მიაწვდის იმ ხალხზე, ვინც უკრაინის ხელისუფლების მაღალ პოსტებზე განიხილება, რომ ჩვენ ამ ინფორმაციების შესახებ, შესაძლოა, ვერც ვერასდროს შევიტყოთ, მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია.

**— ბატონო რამაზ, „ნაციონალები" გააქტიურდნენ პარლამენტში და ხელისუფლებისგან მოითხოვენ ქართველი ემიგრანტებისთვის ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებას, ვისაც უცხოეთის მოქალაქეობა აქვს, მათ არ ჩამოერთვათ ავტომატურად საქართველოს მოქალაქეობა და ვისაც უკვე ჩამოართვეს, იმ ხალხს აღუდგინონ. „ნაციონალები" მზად არიან, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით უმრავლესობას ხმებიც მიაშველონ. როგორ ფიქრობთ, ეს თემა „ნაციონალებმა" იმიტომ ხომ არ გაააქტიურეს, რომ უკრაინის ხელისუფლებაში დასაქმებულ მათ ლიდერებს საქართველოს მოქალაქეობაც შეუნარჩუნდეთ, რაც მათ ქართულ პოლიტიკაში ჩარევის უფლებას არ წაართმევს და გარკვეულ გავლენას შეუნარჩუნებს. ასეთ შემთხვევაში, ალბათ, მიხეილ სააკაშვილიც დასთანხმდება უკრაინის ვიცე-პრემიერობას.**

– კი, თქვენ მართალი ხართ. თუ გავიხსენებთ, როგორ ჯიუტად არ აძლევდნენ მოქალაქეობას ბიძინა ივანიშვილს, ამ ფაქტს კი პოლიტიკური ზეწოლის, მანიპულირების ბერკეტად იყენებდნენ წინასაარჩევნოდ, მაშინ გასაგები ხდება, რატომაც გაააქტიურეს ორმაგი მოქალაქეობის თემა. ხომ გახსოვთ, საქართველოს მოქალაქეობის არქონის გამო, ივანიშვილი კინაღამ პოლიტიკის მიღმა დატოვეს. „ნაციონალებს" ეს კარგად ახსოვთ და ორმაგი სტანდარტებით მოქმედება მათთვის ჩვეული ამბავია. კი, მათი მიზანი სწორედ ეს არის, რომ შეინარჩუნონ უკრაინაში პოსტები და საქართველოს მოქალაქეობაც, რაც ქართულ პოლიტიკაში გარკვეული დოზით ჩარევის უფლებას მისცემს სააკაშვილსაც და სხვებსაც.

**ლევან ჯავახიშვილი**

577 51 73 37

---

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-მ ხულიგნობის ბრალდებით ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა



შსს-ს გურიის სამხარეო მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, შეტყობინების საფუძველზე 1982 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გიორგი კ. ხულიგნობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა გიორგი კ-მ, თემურ კ-მ და ამირან კ-მ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ჯვარცხმაში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, ოლეგ რ-ს და მის მეზობელ ლაშა შ-ს, რომელიც იმ დროს მის სახლში იმყოფებოდა, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. შემდეგ გიორგი კ-მ სანადირო თოფიდან ოლეგ რ-ს სახლის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

ოლეგ რ-ს მეუღლემ ნანა შ-მ მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. სამართალდამცველებმა გიორგი კ. შემთხვევის ადგილზე დააკავეს, ხოლო თემური კ-მ და ამირან კ-მ მიმალვა მოახერხეს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სასჯელაღსრულების №18 დაწესებულებაში პატიმარმა თავი მოიკლა



სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, „სასჯელაღსრულების №18 (სასჯელაღსრულების ცენტრალური საავადმყოფო) დაწესებულებაში სუიციდის ფაქტი დაფიქსირდა. გარდაიცვალა 1980 წელს დაბადებული მსჯავრდადებული ჯ.ი.

ფაქტზე დაწყებულია გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლის პირველი ნაწილით. დანიშნულია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს", – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „რაც აფხაზეთში ხდება, ყირიმის სცენარის გამეორებაა"



ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლინას ლინკევიჩუსმა აფხაზეთსა და ყირიმში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა:

„ის, რაც აფხაზეთში ხდება, შეიძლება ითქვას, რომ ყირიმის სცენარის გამეორებაა, ამ პროცესის შედეგია აფხაზეთის ანექსია. ეს არის საქართველოსთვის ევროინტეგრაციის პროცესში მეტი სირთულის შექმნა. მჯერა, რომ მთავრობაში ცვლილებების მიუხედავად, საქართველო გააგრძელებს იმავე ენერგიით რეფორმებს. ვისურვებდით, რომ მათ იფიქრონ მნიშვნელოვან გზავნილზე, კერძოდ, კოალიციაში არ არსებობენ იდეალური პარტნიორები, არამედ არსებობენ იდეალური მეტოქეები", – განაცხადა მინისტრმა. (ნიუპოსტი)

# კურტანიძეს კორუფციული გარიგება შესთავაზეს

## რატომ არ ამხელს ფედერაციის ექსპრეზიდენტი მათ ვინაობას?

**1-ელ დეკემბერს საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში დიდი შეხლა-შემოხლა იყო. გავრცელებული ინფორმაციით, ფედერაციის პრეზიდენტი ლუკა კურტანიძე თანამდებობიდან გადააყენეს, თუმცა, როგორც თავად კურტანიძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ის არავის გადაუყენებია, თვითონ მოიხსნა უფლებამოსილება.**

**რა მოხდა სინამდვილეში ჭიდაობის ფედერაციაში? რა ბრძოლები მიდიოდა კულუარებში? რომელი პოლიტიკოსები მართავდნენ კურტანიძის წინააღმდეგ წამოწყებულ ბრძოლას? რა თანხის გაფლანგვას სთავაზობდნენ ფედერაციის ექსპრეზიდენტს?**

**„ალიას“ ლუკა კურტანიძე ესაუბრა:**

**— ლუკა, როგორც ვიცი, შენ გადადგომას არ აპირებდი, რა მოხდა, რატომ შეიცვალე აზრი?**

– მე 2012 წლის 15 დეკემბერს ამირჩიეს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად, რამდენიმე დღის შემდეგ მომიწყვეს პირველი პროვოკაცია, შიგნით ფედერაციაში მოხდა შეხლა-შემოხლა, ამას მოჰყვა სატელევიზიო ხმაური და „ნაციონალმა“ რევანშისტებმა მოითხოვეს ჩემი გადაყენება. შემდეგ გამოვიდა ჩიორა თაქთაქიშვილი და მოითხოვა იმ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რომელიც ჩემი ლაგოდეხში ყოფნის დროს აღიძრა, როდესაც კენჭს ვიყრიდი საპარლამენტო არჩევნებში. შემდეგ, ნუგზარ წიკლაურმა და მისმა „ძმამ“ გია ბარამიძემ მოითხოვეს ჩემი გადაყენება პოლიციის აკადემიის რექტორობიდან. მოკლედ, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ გავენადგურებინე. ეს ადამიანები მებრძოდნენ როგორც პარლამენტიდან, ისე მათი არასამთავრობოებიდან და კულუარებიდანაც. იმ პერიოდში ეს არ გამოუვიდათ, მე ჩავატარე ევროპის ჩემპიონატი თბილისში, დავალაგე ფინანსური სიტუაცია ფედერაციაში. როდესაც მე გავხდი ფედერაციის ხელმძღვანელი, ბიუჯეტში იყო 30 000 ლარი, ჩემს ხელში 600 ათას ლარს გადააჭარბა, ამის შემდეგ დავიწყე მზადება 2016 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელიც საქართველოში უნდა ჩატარდეს, ასევე დავიწყე ჭიდაობის ცენტრის მშენებლობა დიღომში, ამერიკის საელჩოს გვერდით. წიკლაურებმა, ბარამიძეებმა და თაქთაქიშვილებმა შეცვალეს ტაქტიკა და თავიანთი ჩანერგილი ადამიანები დამიპირისპირეს. მე ჩემს მეგობრებს სოსო ჯაჭვლიანსა და ლევან ხაბელოვს ასეთი შეკითხვა დავუსვი, მე მაქვს ინფორმაცია, რომ გაზაფხულიდან გარკვეული ჯგუფი ისევ აპირებს იერიშის მოტანას და ხომ არ სჯობს, საერთოდ გავეცალო-მეთქი?!. ვიცი, რომ ისინი აქტიურად ემზადებოდნენ და გეგმავდნენ არაერთ პროვოკაციას. ფედერაციაში მოქმედებდნენ როგორც განაწყენებული ადამიანები, რომლებიც მე თავის დროზე გადავაყენე, ასევე „ნაციონალების“ მიერ დამუშავებულებიც. ნამდვილად არ მომწონდა, რასაც ჩემს მისვლამდე „ნაციონალები“ აკეთებდნენ ფედერაციაში, გაიყიდა უამრავი ობიექტი და ბაზრებად იქცა საჭიდაო დარბაზები სხვადასხვა რეგიონებში. ამის წინააღმდეგ ხმალამოღებული ვიბრძოდი ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ზეობის პერიოდში. მთელმა საქართველომ იცის, ეს ყველაფერი კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა. ეს არის კარგად მომზადებული და მართული ჯგუფი, რომელიც ყველაფერზე მიდის, ყველაფერზე აწერს ხელს. სხვათა შორის, ფედერაციის ანგარიშზე დევს 300 ათას ლარზე მეტი და ეს არ არის ბიუჯეტიდან გადმორიცხული, ფული ვიშოვე პირადი კონტაქტებით. ეს ადამიანები იმდენად არიან ემოციებს აყოლილები და დამუშავებულები, რომ არავის აზრს არ ითვალისწინებენ, არაფრის გაგონება არ უნდათ. ამ შემთხვევაში მათზე მაღლა დავდექი, არაფრად არ მიღირს არც ფული, არც თანამდებობა, სამართლებრივად ისინი ვერანაირად ვერ გადამაყენებდნენ, პრეზიდიუმის სხდომა უნდა გამართულიყო 8 დეკემბერს, მე მოვიწვიე ერთი კვირით ადრე, რათა ყველაფერი სამართლებრივ ჩარჩოში მოქცეულიყო, როდესაც მხარე არ თმობს და ყველაფერზე მიდის, მაშინ ცოტა ხნით წასვლა სჯობს.

**— აბა, ერთი კვირის შემდეგ უნდა ყოფილიყო შეკრება და შენ სპეციალურად დააჩქარე?**

– დიახ, მე დავაჩქარე... სანამ პრეზიდიუმის სხდომა დაიწყებოდა, მე ჩემს კაბინეტში მოვიწვიე ჟურნალისტები, მადლობა გადავუხადე ყველას და უფლებამოსილება გადავეცი ჩემს მოადგილეს. ამის შემდეგ, „ნაციონალების მიერ მართულმა ჯგუფმა მოინდომა საქმის სხვაგვარად წაყვანა, თითქოს გამათავისუფლეს, გამაგდეს და ახლა ჩამოხრჩობას მიპირებდნენ. ერთია ის, რომ მათ უკან დგანან ის „ნაციონალები“, რომლებიც მე ჩამოვთვალე, მაგრამ თვითონ ფედერაციაშიც არიან ჩანერგილები, რომლებიც ნამდვილად არ არიან მოჭიდავეები. სამწუხაროდ, ეს ადამიანები ახალ რეალობაში აღმოჩნდნენ სხვადასხვა თანამდებობებზე, ზოგი საით გადაბარგდა, ზოგი საით, მაგრამ როგორც კი საშუალება მიეცათ, მაშინვე დაგვიპირისპირდნენ მეც და სოსო ჯაჭვლიანსაც. თაქთაქიშვილს, რატიანს, აკო მინაშვილსა და გაბაშვილს არაფერი გამოუვათ, ესენი ვერ წამაქცევენ, არც კი იციან, რომ უფრო მაძლიერებენ. მათ ყველას მივწვდები. უკან დახევას არ ვაპირებ, ადრეც ვიბრძოდი და ახლაც ვიბრძოლებ...

**— თუ ბრძოლას აპირებ, მაშინ რატომ მოიხსენი უფლებამოსილება, ყოფილიყავი ფედერაციის პრეზიდენტი და ისე გებრძოლა.**

– ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს? მე 2012 წლის არჩევნებამდე „ნაციონალები“ ქვებს მესროდნენ, სოფელ ხურვალეთში ლამის ჩამქოლეს და სასწაულებრივად გადავრჩი. იცით, რაც მოხდა 2011 წლის 26 მაისს, მე გადავურჩი დაზომბირებულ ადამიანებს, რომლებმაც ქვების მაგივრად კვერცხები დამიშინეს. შეიძლება ზოგიერთისთვის კვერცხის სროლა არაფერს ნიშნავს, მაგრამ როდესაც ამხელა კუნთებიანი და ორმეტრიანი ყაზილარები კვერცხებს გესვრიან, ეს უკვე აუტანელია. მართალია, მათ საკუთარ თავებს ესროლეს კვერცხები, მაგრამ საზოგადოებაში ძალიან ცუდად ჩანს. ადამიანური თვალსაზრისით, მათ ყველანაირად სცადეს ჩემი დამცირება. არადა, თუ ადრე მათ იქით ჩაგრავდნენ და იყენებდნენ, ყვითელ-ყვითელი ავტობუსებით აქეთ-იქით დაათრევდნენ, მე ხელი გავუწოდე, ვცადე მათი წამოყენება, მაგრამ ისინი მაინც წუმპეში დარჩნენ. ქართველმა ხალხმა მიშა უხსენებელსაც კი მისცა საშუალება, თავისი ვადა ჩაემთავრებინა, მაგრამ ამ ერთმა მუჭა „ნაციონალებმა“ არაფერი მაპატიეს. ეს ძალიან საშიში მოვლენაა, თუ ძირშივე არ აღიკვეთა, ტრაგიკულ სურათს მივიღებთ.

**— სოსო ჯაჭვლიანისგან რაღა უნდოდათ, რატომ აუხირდნენ?**

– მეამაყება, რომ სოსო ჯაჭვლიანის მეგობარი ვარ, ის არის ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი. სოსომ თქვა, ყველა კანონზე მაღლა დგას მორალი, თქვენ არ გაქვთ მორალური უფლება, ლუკა კურტანიძეს ასეთი რამ გაუკეთოთო. ამას მოჰყვა ჩხუბი და გაწევ-გამოწევა. დღეს საქვეყნოდ ვაცხადებ, ამ ადამიანებს ძალიან მკაცრად მოვკითხავ და პასუხს ვაგებინებ.

**— ცოტა ხანში არჩევნები გაიმართება ჭიდაობის ფედერაციაში, შენ მონაწილეობას არ აპირებ?**

– მე ვიქნები ერთი ჩვეულებრივი ამომრჩეველი, იქ არიან ღირსეული ადამიანები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ და გაიმარჯვებენ კიდეც. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მე მარტო ვარ, ძალიან ცდება. ერთ რამეზე მწყდება ძალიან გული, იქ არიან ადამიანები, რომლებიც ლუკა კურტანიძემ მოიყვანა, დააპურა, ჩააცვა, საქმე მისცა, ფეხზე წამოაყენა და მაინც ღალატის გზას დაადგნენ. რატომღაც მათი იმედი მქონდა, სულ მეუბნებოდნენ, შენს გვერდით ვდგავართო, მაგრამ მიღალატეს... დარწმუნებული ვარ, თავიანთი საქციელი მათ მთელი ცხოვრების მანძილზე შეაწუხებთ, ღალატი ყოველ ნაბიჯზე წინ დაუხვდებათ.

**— ლუკა, როგორ ფიქრობ, ამ ადამიანებმა რის ხარჯზე გიღალატეს, ვინმეს მიეყიდნენ?**

– ისინი ელოდებოდნენ რაღაცას, ჯერ ჩემგან, როცა ვერ მიიღეს, სხვასთან დაიწყეს ძრომიალი, ეტყობა, მათ დაპირებები მისცეს. მე მათ გამოვუცხადე, სანამ ლუკა კურტანიძე ვარ და ჭიდაობის ფედერაციას ვხელმძღვანელობ, ვერც ერთი თეთრი ვერ გაიხარჯება არამიზნობრივადმეთქი. შარშან ჩავატარეთ 250 ღონისძიება, იყო ჩემპიონატები და პრეზენტაციები. ამ ყველაფრის შემდეგ სახელმწიფოდან გადმორიცხული თანხა დაგვრჩა, ვერ გავხარჯეთ და 180 ათასი ლარი უკან დავაბრუნე. ისინი მეუბნებოდნენ, სხვადასხვა ხარჯებში გაწერე, ავითვისოთ, რა გენაღვლება, ეს ხომ შენი ფული არ არის, სახელმწიფომ მოგვცაო. ეს არ გავაკეთე, დავუბრუნე სახელმწიფოს და ეს ყველაფერი ნამდვილად ჩაიდეს გულში. ამ ადამიანებმა ფედერაციაში ვერ შექმნეს მაფიოზური დაჯგუფებები და ამიტომაც გავხდი ბევრისთვის მიუღებელი. ზოგიერთი მათგანი დაჟინებით მიმეორებდა, ის ფული რომ არ დაგებრუნებინა, ყველანი კმაყოფილები ვიქნებოდითო. ამ ცხოვრებით არ მიცხოვრია და ვერც ვიცხოვრებ, შეუცდომელი არავინ არ არის, შეიძლება მეც შემეშალოს, მაგრამ ასეთ შეცდომას ნამდვილად არ დავუშვებ.

**— ლუკა, ჩვენში არსებობს ასეთი დაუწერელი კანონი, როდესაც მავანს ერთხელ გაუვა, მერე უკვე ყველაფერი თავხედობაში გადადის ხოლმე. შენ ხარ პოლიციის აკადემიის რექტორიც, როგორ ფიქრობ, ამის შემდეგ შეტევა ხომ არ დაიწყება მეორე მიმართულებითაც, ანუ ხომ არ ეცდებიან, გამოგაძევონ პოლიციის აკადემიიდანაც?**

– მე პოლიციის აკადემიის რექტორად დავინიშნე ირაკლი ღარიბაშვილის რეკომენდაციით, ამ კოლექტივმა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მიმიღო, მიუხედავად იმისა, რომ იქ საქმეს ვაკეთებ და ყველა პატივს მცემს, მაინც ვგრძნობ, რომ ბრძოლა დაწყებულია. ისინი მოქმედებას გააგრძელებენ, სანამ თავებს არ გავუსრეს. მე ყველას ვაგებინებ პასუხს და ეს იქნება მათი ტრაგიკული დასასრული, როგორც კარიერაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.



**„ნამდვილად არ მომწონდა, რასაც ჩემს მისვლამდე „ნაციონალები“ აკეთებდნენ ფედერაციაში, გაიყიდა უამრავი ობიექტი და ბაზრებად იქცა საჭიდაო დარბაზები სხვადასხვა რეგიონებში. ამის წინააღმდეგ ხმალამოღებული ვიბრძოდი ჯერ კიდევ „ნაციონალების“ ზეობის პერიოდში. მთელმა საქართველომ იცის, ეს ყველაფერი კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა“**



**„მეამაყება, რომ სოსო ჯაჭვლიანის მეგობარი ვარ, ის არის ჩვენი ქვეყნის ღირსეული შვილი. სოსომ თქვა, ყველა კანონზე მაღლა დგას მორალი, თქვენ არ გაქვთ მორალური უფლება, ლუკა კურტანიძეს ასეთი რამ გაუკეთოთო. ამას მოჰყვა ჩხუბი და გაწევ-გამოწევა. დღეს საქვეყნოდ ვაცხადებ, ამ ადამიანებს ძალიან მკაცრად მოვკითხავ და პასუხს ვაგებინებ“**

**„ამ ადამიანებმა ფედერაციაში ვერ შექმნეს მაფიოზური დაჯგუფებები და ამიტომაც გავხდი ბევრისთვის მიუღებელი. ზოგიერთი მათგანი დაჟინებით მიმეორებდა, ის ფული რომ არ დაგებრუნებინა, ყველანი კმაყოფილები ვიქნებოდითო. ამ ცხოვრებით არ მიცხოვრია და ვერც ვიცხოვრებ, შეუცდომელი არავინ არ არის, შეიძლება მეც შემეშალოს, მაგრამ ასეთ შეცდომას ნამდვილად არ დავუშვებ“**

გელა ზედელაშვილი

555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## განათლების მინისტრმა წარჩინებულებს ოქროს მედლები გადასცა

განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროს მედლები გადასცა. 2014 წელს საქართველოს მასშტაბით 1208 ოქროსა და 872 ვერცხლის მედალი გაიცემა. 2 დეკემბერს ოქროს მედლებით თბილისის საჯარო და კერძო სკოლების 400-მდე წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა. (ნიუპოსტი)



# როგორ დაიცავს შს მინისტრი „რეფორმატორებს" სადღობელაშვილის მუქარებისგან?

პარტია „რეფორმატორების" წევრმა, ნიკა კირვალიძემ „ფეისბუკით" განცხადება გაავრცელა: „მივმართავ ლადო სადღობელაშვილს! როდესაც „რეფორმატორებსა" და მის თითოეულ წევრს — ჩემს ძმებსა და დებს ემუქრები, მაშინ შენ მეც მემუქრები, როგორც ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრს. შენ, ეტყობა, არ იცი, ნამდვილი ჯოჯოხეთი რა არის და ვერც წარმოიდგენ, რადგან არ გინახავს, როგორ გელუპება ძმაკაცი და როგორ უყურებ სიკვდილს თვალებში. მაგრამ უნდა იცოდე, რომ შენს უკან შენი ოჯახის წევრები და შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანები დგანან და ვიდრე მათ დაუშავდებათ რამე, შენ უნდა გაწირო თავი. ახლა ჩემს უკან ჩემი ოჯახის წევრები — „რეფორმატორები" დგანან და გაითვალისწინე!!! ამას მე გეუბნები, ნიკა კირვალიძე!!!"

**რამ გამოიწვია რეალურად დაპირისპირება? რა ურთიერთობა ჰქონდათ დღემდე ერთმანეთთან სადღობელაშვილსა და „რეფორმატორებს"? რა თხოვნით მიმართეს „რეფორმატორებმა" შს მინისტრს?**

„ალიას" **ნიკა კირვალიძეს** ესაუბრა:

**— ნიკა, კონკრეტულად ვის და რით დაგემუქრათ სადღობელაშვილი?**

– დიდი ხნის მანძილზე „თავისუფალი თაობის" წარმომადგენლის, ლადო სადღობელაშვილისგან ჩვენი პარტიის წევრებისა და ლიდერის მიმართ ხორციელდება შეურაცხმყოფელი ინფორმაციები. ცდილობს, მოსახლეობას თავი დაამახსოვროს ხელოვნური საპროტესტო აქციებით. ის გაცდენილია ადეკვატურობას და ამაზე მეტყველებს მისი მოქმედებები. მან თავს მისცა უფლება და პარტიის აღმასრულებელ მდივანს, ქალბატონ ნინო ჩარკვიანს სოციალურ ქსელში მუქარის შემცველი ტექსტები გაუგზავნა, იმუქრება, რომ ჯოჯოხეთს მოგვიწყობს და ათასი სისულელე. თავიდან რომ იქნას აცილებული შესაძლო გართულებები, შს მინისტრი ჩაყენებულია საქმის კურსში. ჩვენთან უამრავი ახალგაზრდაა და რომ არა პარტიის ლიდერის პრინციპული გადაწყვეტილება, არ გამოვრიცხავ, სერიოზული დაპირისპირება მომხდარიყო. იმედი მაქვს, შს სამინისტრო დროულ რეაგირებას მოახდენს და პრევენციაზე იზრუნებს.

ალბათ, წარმოგიდგენიათ, რა ძნელია დღეს ჩვენს ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა, უცებ ოფისების ქირაობა, მაისურებისა და დროშების შეძენა და აქციების გამართვა. ეს ნიშნავს, რომ მის უკან გარკვეული ჯგუფები დგანან, რომლებიც საჯაროდ არ ჩნდებიან. მახსოვს, ეს ბიჭი გაზაფხულზე ჩვენთან იყო მოსული და ითხოვდა თავმჯდომარესთან შეხვედრას, ჰქონდა ინტერესი, რომ გამხდარიყო „რეფორმატორების" დეპუტატობის კანდიდატი კრწანისის რაიონში. თუ ფულის საშუალება გაქვთ, ბევრ ხმას მოგიტანთ, თუ არა, მაინც დავდგები კანდიდატად და ვიბრძოლებო. ამის შემდეგ იყო გადაცემაში, სადაც საჯაროდ დააფიქსირა, რომ მხარს უჭერს ჩვენს პარტიას, როგორც ყველაზე სუფთა ორგანიზაციას და მზად არის, ჩვენთან ერთად წამოვიდეს აქციაზე აფხაზეთის ე.წ. საზღვართან. თუმცა არ წამოვიდა. ის არ არის დამოუკიდებელი, მოქმედებს სახელისუფლო გუნდის გარკვეული ჯგუფის დავალებების შესაბამისად.

**— ის ებრძვის „ნაციონალებს" და მათთან დაახლოებულ არასამთავრობოებსა და პარტიებს...**

– თუ ებრძვის „ნაციონალებს", ებრძოლოს. ჩვენ არ გვაინტერესებს, რა მიზნები აქვს „თავისუფალ თაობას".



ნიკა კირვალიძე

**„ალია" „თავისუფალი თაობის" ლიდერს, ლადო სადღობელაშვილს ესაუბრა:**

**— ლადო, „რეფორმატორები" ამბობენ, ჩვენს წარმომადგენელს ჯოჯოხეთის მოწყობით დაემუქრაო.**

– სიახლეს არ წარმოადგენს, რომ ვებრძვი „ნაციონალებს". „რეფორმატორების" ლიდერი, ირაკლი ღლონტი „ნაციონალებთან" დაახლოებული პირია 2007 წლიდან, მუშაობდა საკრებულოში, გამგეობაში, 2011 წელს დაუახლოვდა „თავისუფალ ზონას". აცხადებდა, რომ სააკაშვილში ნაკლს ვერ ხედავდა. კი მაგრამ, 2008-2011 წლებში თუ ნაკლს ვერ ხედავდა სააკაშვილში, ახლა ხედავს? ისინი ემსახურებიან „ნაციონალების" ინტერესებს. „ნაცმოძრაობის" კულუარებიდან მაქვს ინფორმაცია, რომ „ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი აფინანსებს მათ და კარნახობს კიდეც დავალებებს. რატომ ვემუქრები და იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა დამიპირეს თავდასხმა, ჩემს ყველა განცხადებაზე აქვთ რეაქცია და რატომ უკვირს, როცა გავავრცელებ მათზე ზუსტ ინფორმაციას? მე არ ვეწევი პროვოკაციას. ყოველთვის იხრებოდნენ ეგენი „ნაცებისკენ".



ლადო სადღობელაშვილი

**— თუ „ნაცებთან" იყვნენ შეკრული, მისი პარტიის სახელით რატომ ითხოვდი მაჟორიტარობას?**

– ისე არ იყო, როგორც გითხრეს. მე დამიკავშირდა ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ნინო ჩარკვიანი. მან შემომთავაზა ეს და როცა მკითხა, სად ვიყავი მოძლიერებული, შევთანხმდით, რომ კრწანისში მეყარა კენჭი. რომ მივედი ოფისში, იქ ვნახე „ნაციონალების" ბუნაგი და მაშინვე უარი ვთქვი. უამრავი ინფორმაცია მაქვს მე მათი შიდა გუნდიდან, რომელიც სულაც არაა სასიამოვნო. სერიოზული პარტიებიდან არ მიყრია კენჭი და მაგათგან რა მინდოდა? არ დავმალავ, რომ ვიყავი მაგათთან მისული, მაგრამ მასე ბურჯანაძე და ალასანიაც იყვნენ სააკაშვილთან და დღეს დაუძინებელი მტრები არიან. დავრწმუნდი, რომ ღლონტი ემსახურება ფარულ „ნაციონალურ" გეგმებს

**— ასევე ამბობენ, რომ შენ იმართები სახელისუფლო გუნდის ერთი ნაწილის მხრიდან?**

– სასაცილოა, სულ მიწერენ, თითქოს ღარიბაშვილი მმართავს. ხან რუსეთის აგენტს მეძახდნენ, მაგრამ არგუმენტებით ვერ გაამყარეს და ახლა ღარიბაშვილს მიმაკერეს. ამით დავამთავრე „რეფორმატორებზე" საუბარი და აქვე ერთ ინფორმაციასაც გავაჟღერებ. მომივიდა კულუარებიდან საკმაოდ დამაჯერებელი ინფორმაცია, რომ „ნაციონალები" დადიან სპორტდარბაზებში და ეძებენ ძლიერ „ტიპებს", რომლებიც ფიზიკურად გამისწორდებიან. თან ამბობენ, რომ ეს პარტიული დავალება კი არა, პირადი ინიციატივაა. ამაში ფულსაც იხდიან. ამჯერად მხოლოდ მოწოდებით შემოვიფარგლები, შეეშვას ნაცსექტა ამ კრიმინალურ საქმიანობას, „მიშმოძრაობას" დიდი დრო არ უწერია.

**— შსს ჩააყენეს საქმის კურსში, რომ ემუქრები და პრევენციული ზომები მიიღეთო.**

– მე არავის დავმუქრებივარ ფიზიკური განადგურებით და პოლიტიკური განადგურება კრიმინალი არაა, მე არ ვარ კრიმინალი. როგორც „ნაციონალებთან" მაქვს დაპირისპირება, ასევე მათთანაც, მე მინდა ყველა აგური გამოვაცილო მათ სიძლიერეს. დიახ, ნამდვილად დავემუქრე პოლიტიკური ჯოჯოხეთით.

**ჟანა ასანიძე**

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მომხდარს ვერასოდეს შევეგუებით"



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე რუსეთსა და აფხაზეთს შორის ე.წ. დოკუმენტის გაფორმებას ეხმაურება.

„რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასთან (და მომავალში, ალბათ, ე.წ. სამხრეთ ოსეთის მმართველ ძალასთანაც) ხელშეკრულების გაფორმებით საქართველო-რუსეთს შორის არსებულ ისედაც რთულ პოლიტიკურ სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს და ერთმანეთისგან აშორებს ორ მოძმე მართლმადიდებელ ხალხს. მინდა, საზოგადოების ყურადღება ორ მომენტზე შევაჩერო: ამ ხელშეკრულებით უგულებელყოფილი იქნა საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნება ადგილობრივი ძირძველი მოსახლეობისა. ყველამ იცის, რომ ჩვენს შემთხვევაში, ამ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი 20 წელზე მეტია, იძულებით არის გადაადგილებული და, ბუნებრივია, მონაწილეობას ვერ იღებდა ტერიტორიის ბედის განსაზღვრაში. უკვე მერამდენედ აღვნიშნავთ იმასაც, რომ კარგა ხანია, არ გვეძლევა საშუალება აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს ეკლესიის მრევლის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა, რაც ასევე საერთაშორისო კანონების დარღვევაა. რა თქმა უნდა, მომხდარი ფრიად სამწუხარო რეალობაა, რომელსაც ჩვენ ვერასოდეს შევეგუებით. მე ადრეც ვამბობდი და კვლავაც გავიმეორებ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისთვის ეს დროებითი განსაცდელია. საქართველო აფხაზებთან და ოსებთან ძმურ ურთიერთობას ადრე თუ გვიან აღადგენს და აღადგენს ტერიტორიულ მთლიანობას, რადგან სიმართლე და სამართლიანობა აუცილებლად იზეიმებს". – ნათქვამია კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოში 4G ინტერნეტი შემოდის




საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ მეოთხე თაობის ფართოზოლოვანი (ინტერნეტ) მომსახურების (**4G**) დასანერგად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის გასაცემად აუქციონი გამოაცხადა.

აუქციონზე გამოტანილი რესურსით სარგებლობის ლიცენზიის საწყისი საფასური 48 მილიონ 364 ათას 386 ლარს შეადგენს. აუქციონზე გატანილია 800 მეგაჰერცის დიაპაზონში 10X10 მეგაჰერციანი მონაკვეთი.

აუქციონში გამარჯვებული კომპანია ვალდებული იქნება 2016 წლის 1-ელ თებერვლამდე მეოთხე თაობის ინტერნეტმომსახურება დანერგოს საქართველოს იმ დასახლებულ პუნქტებში, სადაც საქართველოს მოსახლეობის უახლესი საყოველთაო აღწერის მონაცემებით, მოსახლეობის რაოდენობა 5 ათასზე ნაკლებია.

აუქციონში მონაწილეობის პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია კომუნიკაციების ეროვნული კომისიის გვერდზე უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება. (ნიუპოსტი)

## პოროშენკომ ალექსანდრე კვიტაშვილს უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა



უკრაინის პრეზიდენტმა პეტრე პოროშენკომ ალექსანდრე კვიტაშვილს უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა. პოროშენკომ ასევე, ხელი მოაწერა ორი უცხოელისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების ბრძანებას. კვიტაშვილთან ერთად, ორივე უცხოელი უკრაინის მთავრობის წევრობის კანდიდატები არიან.

„უკრაინის მოქალაქეობა სამმა უცხოელმა მიიღო: ალექსანდრე კვიტაშვილმა, ნატალი იარესკომ და აივარას აბრამოვიჩმა", – წერს უკრაინის პრეზიდენტი „ტვიტერის" საკუთარ გვერდზე.

საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაადასტურა, რომ უკრაინის მთავრობის მოწვევით კიევში საქართველოს ყოფილი თანამდებობის რამდენიმე პირიც იმყოფება. მისი თქმით, სანდრო კვიტაშვილთან ერთად უკრაინის მთავრობაში თანამდებობები შესაძლოა კიდევ რამდენიმე ყოფილმა ქართველმა მაღალჩინოსანმა დაიკავოს. (ნიუპოსტი)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ერეკლე დეისაძის გადარჩენით უკმაყოფილო „მრევლი“



ერეკლე დეისაძე იმ პირთა კომენტარებს ეხმაურება, რომლებიც გასროლის შემდეგ, მწერლის გადარჩენამ დაანაღვლიანა.

ერეკლე დეისაძე: „თითქმის ყველა ტიპი, რომელიც ინტერნეტსივრცეში წერს, რომ, რა ცუდია რო ტყვია არ მოხვდა და არ მოკლეს, შევდივარ მაგათ გვერდზე და უმეტესობას ღვთისმშობლის ან სამების ტაძრის ფოტო უყენია ქავერად“...

ერეკლე დეისაძეს რამდენიმე დღის წინ ვაჟა-ფშაველას გამზირზე ესროლეს. გასროლა დაახლოებით დილის 4 საათზე მოხდა. პიროვნება, რომელმაც დეისაძეს ესროლა, პოლიციის თანამშრომელი აღმოჩნდა.

„მოხდა ურთიერთშელაპარაკება, სახეზე მიცნეს, იყვნენ მთვრალები, მომიწია ხუთ კაცთან მარტოს ჩხუბი და როგორც მოგვიანებით გაირკვა, ჩემი მისამართით გაისროლეს. პოლიციამ შემთხვევის ადგილიდან ამოიღო მასრები. ეს ფაქტი მართლაც ძალიან სამწუხაროა. მით უმეტეს, როგორც გაირკვა, იმ პიროვნებას იარაღის ტარების უფლება ჰქონია და აღმოჩნდა, რომ თანამშრომელი იყო. როცა 24 წლის ლაწირაკს იარაღის ტარების უფლებას მისცემ, ცოტა მეტი პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს თავის თავზე! – ამბობს ერეკლე დეისაძე.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ქეთა თოფურია შვილს ელოდება



მიუხედავად იმისა, რომ ქეთა თოფურია არ აკეთებს ამ სასიხარულო სიახლესთან დაკავშირებით კომენტარს და დუმილს ამჯობინებს, „ა-სტუდიოს“ სოლისტის გარემოცვა ამ ინფორმაციას ადასტურებს.

– ქეთა ნამდვილად ფეხმძიმედ არის და ამის შესახებ მე რამდენიმე თვის წინ გავიგე. ახლობლები, თავად ლევი და ქეთა ძალიან ბედნიერები არიან ამ სიახლით. ღმერთმა ჯანმრთელი დაბადოს პატარა! – აცხადებს მიზნესმენი, ქეთას ოჯახის ახლობელი ალეკო არჩუაძე.

ქეთასთვის ეს პირველი შვილი იქნება, ხოლო მისი მეუღლისთვის – მეორე. ერთ-ერთ ინტერვიუში ქეთამ აღნიშნა, რომ სურს 3 შვილი ჰყავდეს, მაგრამ ამისთვის ჯერ პირველი უნდა გააჩინოს.

*marao.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ლევან ხურციასა და მარიამ კუბლაშვილის მგზნებარე რომანი გამჟღავნდა



ყველასთვის უცნობი მარიამი „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ გამარჯვების შემდეგ არაერთი ჟურნალის გარეკანზე მოხვდა. მისი პირადით დაინტერესდნენ სატელევიზიო შოუებიც. ადვოკატიც ჰყვებოდა თავის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე კი არაფერს ამბობდა.

თუმცა მოგეხსენებათ, თბილისში ძნელია რაიმეს დამალვა. შევიტყვეთ, რომ მარიამ კუბლაშვილსა და მსახიობ ლევან ხურციას მგზნებარე რომანი აქვთ. ამის შესახებ ინფორმაცია სანდო წყარომ მოგვაწოდა. წყვილს ერთმანეთი ამ ზაფხულს ერთ-ერთ წვეულებაზე გაუცნია, შემდეგ რამდენჯერმე საერთო მეგობრის ოჯახში შეხვედრილან, მსახიობს უაქტიურია და თავიდან ვითომ საქმიანი შეხვედრები ნელ-ნელა ფლირტში, შემდეგ კი სიყვარულში გადაიზარდა. მარიამსა და ლევანს ხშირად ხედავენ ერთად თბილისის ერთ-ერთ კაფეში.



ლევან ხურციას საყვარელ ქალებზე მანამდეც ბევრი დაწერილა. დაკვირვებულ მკითხველს, ალბათ, ემახსოვრება, რომ ნესტან კირთაძის ქალიშვილმა, ანი რეხვიაშვილმა, ერთ-ერთ ჟურნალთან მიცემულ ინტერვიუში მისი და ლევანის სიყვარულის ამბავი გაამხილა. ქალაქში ჭორაობდნენ ლევანისა და მსახიობ მანანა აბრამიშვილის რომანზეც, თუმცა, როგორც ჩანს, ამჯერად საქმე სერიოზულადაა. წყაროს ინფორმაციით, მსახიობმა ადვოკატი თავისი ოჯახის წევრებს გააცნო. ისე, ლევანი, რომელიც თავადაც ძალიან სიმპათიური მამაკაცია და ქალების სასურველ საქმროდ მიიჩნევა, აშკარად არ უჩივის გემოვნებას. ყველა ქალი, რომელიც მას დაუკავშირეს, შესაშური გარეგნობით გამოირჩევა.

მარიამისგან განსხვავებით, მსახიობი პრესის ჟურნალისტებს ინტერვიუებით არ ანებივრებს. როგორც გავიგეთ, ლევანი შეყვარებულ ქალსაც სთხოვს, ჟურნალისტებისგან თავი შორს დაიჭიროს, ამიტომაც დაიმალა ამდენ ხანს მათი სიყვარულის ამბავი. თუმცა, ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში ქართველი სასურველი სასიძო აღიარებს, რომ შეყვარებულია.

*reitingi.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...საინტერესო ამბები...საინტერესო

## ლიზა ყენია – მთელი დღეა შოკში ვარ და შინაგანად ვკანკალებ!



მომღერალი ლიზა ყენია, რომელიც ახლა პროექტ „ერთიერთში“ მონაწილეობს, ქუჩაში მომხდარმა ამბავმა შოკში ჩააგდო.

– მთელი დღეა შოკში ვარ და შინაგანად ვკანკალებ! დღეს პეკინზე შუქნიშანზე ქალი ისე გამეტებით სცემდა მათხოვარ ბავშვს, რომ გადავირიე!!! თან ისეთი საყვარელი ბავშვი იყო! წარმოვიდგინე იგივე მდგომარეობაში ჩემი პატარა ძმა რო ვილაცას ჩაეყენებინა, ველარ მოვითმინე მანქანიდან გადავხტი და ამ ქალთან მივვარდი, პრინციპში, ქალიც არ ყოფილა, ახალგაზრდა გოგო იყო! იმდენად გავმწარდი, რო წყნარად ვერ ველაპარაკე, ვუკიოდი, ესე როგორ ურტყამ ბავშვს-მეთქი! მოვკიდე ამ ბიჭს ხელი და ჩემს ტაქსის მანქანაში ჩავსვი!! საშინლად გამოვლანძღე ეს გოგო და არ მინდოდა, რამე უცენზურო მეთქვა და ანერვიულებულზე ძაან მედიდური სახით ვუთხარი, ტრაკი დააყენე-თქო (ეხლა ძაან მეცინება)!

ვერ ვხვდები ამ დროს ამ ბავშვს რა უნდა ექნა?

წამოვიყვანე და მთხოვა ზოოპარკთან ჩამომესვა, – წერს ლიზა სოციალურ ქსელში.

შეგახსენებთ, ლიზა მომღერალ მაია ჯაბუას შვილია.

*primetimenews.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## წელის ტკივილის საწინააღმდეგო ეფექტური მეთოდი კობა სუბელიანისგან



კობა სუბელიანი სოციალურ ქსელში წელის ტკივილის მორჩენის ეფექტურ მეთოდს ურჩევს მეგობრებს და მისი ჩატარებისთვის შესაბამის ფოტოებსაც აქვეყნებს.

– ბევრისთვის ეს ფოტო ცნობილია და სარგებლობს კიდეც, მაგრამ ხომ შეიძლება ვინმემ არ იცოდეს ამის შესახებ და აი, სწორედ მათთვის ვდებ. ძალიან ეფექტურია წელის ტკივილის მოსარჩენად (თუ მძიმე ფორმებთან არ გვაქვს საქმე). მე და ჩემს ირგვლივ რამდენიმე ადამიანს კარგი შედეგი მოგვცა და რატომ შევინახო ეს სიკეთე მხოლოდ ჩემთვის, იქნება ვინმეს კიდევ გამოადგეს, თუნდაც ერთ ადამიანს მიანიჭოს შვება, ეგეც საქმეა და აგერ ბატონო, ინებეთ და აჩვენეთ სხვებსაც.




მერწმუნეთ, ძალიან კარგი რამ არის. დღეგამოშვებით მხოლოდ 15 წუთიც კი საკმარისია და ერთ თვეში შედეგს იგრძნობთ. ამ ვარჯიშებს ზუსტად ის კუნთები მოჰყავს ტონუსში, რასაც ხერხემალი უჭირავს. უფრო კომპეტენტურად კი კვალიფიციურმა ადამიანებმა დაწერეთ კომენტარებში თქვენი შენიშვნები. გისურვებთ ჯანმრთელობას, – წერს დეპუტატი.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...

## ვინ დაუყარა ხმა ინდირა ჯგერენაიას, სმა უყვარსო? „ჩემი უდიდესი შეცდომა იყო ნინო ჩხეიძის არჩევა“




ცოტა ხნის წინ „ნიჭიერის“ კონკურსანტ ინდირა ჯგერენაიას შვიდთვიანი დეპრესია ჰქონდა.

მიზეზად მომღერალი „ახალი ხმიდან“ უსამართლოდ გაშვებას ასახელებს. ითქვა, მას სმის სიყვარული დააბრალეს.

ინდირა ჯგერენაია:

– სმა მიყვარს, ცუდი ნათქვამია და მაგის მთქმელმა იქნებ დალიოს და უკეთ იმღეროს... მომღერალმა თქვა. ბარბარა სტრეიზანდი დაბერდა სიმღერაში და დღემდე ჩაიდანი უდევს კულისებში და ჩაიში გახსნილ კონიაკს სვამს. ამდენი განათლებაც არ აქვს იმ ადამიანს, ვინც ეგ თქვა. ეს იყო გამიზნულად ჩირქის მოცხების მცდელობა, მაგრამ ვერ მომაცხებენ. ჩემი უდიდესი შეცდომა იყო ჩემი არჩევანი – მწვრთნელად ნინო ჩხეიძის არჩევა. მე ეს საქვეყნოდ ვაღიარე...

*primetimenews.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

## გრძელი არათითი ართრიტის მაუწყებელი ყოფილა



როგორც წესი, საჩვენებელი და არათითი ერთი ზომისანი არიან, თუმცა არის შემთხვევები, როცა ეს უკანასკნელი უფრო გრძელია. რამდენად აისახება ასეთი მოვლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე?

როგორც სპეციალისტებმა დაადგინეს, დიახ, არათითის სიგრძე პირდაპირ კავშირში ყოფილა ჩვენს ჯანმრთელობასთან, თუმცა უფრო ხშირად ეს მშვენიერი სქესის წარმომადგენლებზე აისახება.

მეცნიერების ინფორმაციით, ქალბატონებში, რომელთა არათითის სიგრძეც საჩვენებელზე დიდია, ართრიტით დაავადების რისკი 2-ჯერ მაღალია.

ასეთი არასასიამოვნო დასკვნა მას შემდეგ გაკეთდა, რაც ექიმებმა ართრიტით დაავადებული 2000 და სრულიად ჯანმრთელი 1000 ქალბატონი შეამოწმეს.

რატომ მოქმედებს არათითის სიგრძე ართრიტის წარმოქმნაზე და როგორია ამ პროცესის მექანიზმი, მეცნიერები ვერ ხსნიან, თუმცა ამტკიცებენ, რომ კანონზომიერება აშკარაა.

**myjane.ru**

## ცხოვრების არაჯანსაღი წესი — პირდაპირი გზა ინსულტისკენ



თავისთავად ცხადია, არ არსებობს დაავადება, რომელიც სასურველია, მაგრამ ინსულტი მაინც ერთ-ერთი ყველაზე არასასურველია სხვა დანარჩენებთან შედარებით.

სწორედ ამ დაავადებასთან დაკავშირებით ჩაატარეს კვლევა ბრიტანელმა მეცნიერებმა, რომლებიც მივიდნენ დასკვნამდე, რომ ცხოვრების არაჯანსაღი წესი პირდაპირ უწყობს ხელს და ორჯერ ზრდის ინსულტის გაჩენის რისკს.

სპეციალისტების განმარტებით, სიგარეტის მოწევა, ალკოჰოლის ხშირი მიღება, დაბალი ფიზიკური აქტიურობა და ასევე, ხილისა და ბოსტნეულის არასაკმარისად მოხმარება, ინსულტის განვითარების ძალიან დიდ რისკს ბადებს.

ბრიტანელების მიერ ჩატარებულ კვლევაში 40-დან 79 წლამდე ასაკის ორივე სქესის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ექსპერიმენტის მონაწილეებს ზემოჩამოთვლილი ჩვევების არქონის გათვალისწინებით თითო-თითო ქულა ეწერებოდათ და ის, ვინც მაქსიმალურ 4 ქულას მიიღებდა, შესაბამისად, ყველაზე ჯანმრთელი იქნებოდა.

მოხალისეების თეორიულად შესწავლის შემდეგ სპეციალისტებმა პრაქტიკული ექსპერიმენტიც ჩაატარეს და დაადგინეს, რომ ისინი, ვინც ვერც ერთი ქულის მოგროვება ვერ შეძლეს, ინსულტით დაავადების რისკის ქვეშ 2,3-ჯერ უფრო მეტად აღმოჩნდნენ.

– სიგარეტი, ალკოჰოლი, მხოლოდ სწრაფი კვების ობიექტების ნაწარმით კვება და ფიზიკური პასიურობა ადამიანებს უდიდეს პრობლემებს შეუქმნის, – ამტკიცებენ ბრიტანელები.

**medkarta.com**

## როგორ უნდა შეივსოთ ვიტამინების დანაკლისი ზამთრის პერიოდში?



და აქვე ბარემ, კიდევ ერთ კითხვასაც დავამატებთ: ის თუ იცით, რომელი უფრო უკეთესი საშუალებაა ზამთრის პერიოდში პროფილაქტიკის ჩატარებისთვის: ხურმა თუ ვაშლი?

თუ არ იცით, მაშინ, დავიწყოთ:

როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ზამთრის პერიოდში განსაკუთრებით მძაფრად დგება ვიტამინიზაციისა და გაციების პროფილაქტიკის პრობლემები. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ისეთი პროდუქტის არჩევა, რომელიც ორგანიზმს ყველა საჭირო ვიტამინითა და მინერალით მოამარაგებს.

ებრაელმა მეცნიერებმა სწორედ ხურმისა და ვაშლის შედარება გადაწყვიტეს, ხილის, რომელიც ზამთრის პერიოდში ყველაზე უფრო ხელმისაწვდომია და აღმოაჩინეს, რომ გაცილებით მეტ სასარგებლო თვისებას ხურმა ფლობს.



კერძოდ, მასში მოიძებნება უფრო მეტი მაგნიუმი, კალციუმი, ნატრიუმი, მანგანუმი, რკინა და ასევე, ანტიოქსიდანტები. შესაბამისად, ადამიანი ყველა საჭირო ვიტამინისა და მინერალის მიღებას შეძლებს. გარდა ამისა, ხურმა იდეალურ სამსახურს უწევს გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ადამიანებსაც და მათაც, ვისაც კუჭის პრობლემები აწუხებს.

ცხადია, ებრაელი მეცნიერების აღნიშნული კვლევის შედეგი სულაც არ ნიშნავს, რომ ვაშლი უსარგებლო პროდუქტია, უბრალოდ, ხურმა მასზე უკეთესი აღმოჩნდა.

**medkarta.com**

## „ცე“ ჰეპატიტთან ბრძოლისთვის გრეიფრუტი გამოიყენეთ



– ფლავონოიდ ნარინგინი, ნივთიერება, რომელიც გრეიფრუტს მომწარო გემოს აძლევს, „ცე“ ჰეპატიტის წინააღმდეგ ბრძოლაში საკმაოდ მნიშვნელოვან დახმარებას აღმოგიჩენთ, – გვირჩევენ ამერიკელი მეცნიერები და განმარტავენ, რომ აღნიშნული ნივთიერება ორგანიზმში ვირუსის განვითარებას დიდ წინააღმდეგობას უწევს და ამით, პაციენტის მდგომარეობის დამძიმებას გამორიცხავს.

ხანგრძლივი კვლევის შედეგად, ამერიკელი სწავლულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფლავონოიდ ნარინგინისა და ვირუსის საწინააღმდეგო სტაციონარული მედიკამენტების „დუეტი“ მნიშვნელოვნად აფერხებს „ცე“ ჰეპატიტის განვითარების პროცესს და მას ქრონიკულ ფორმაში გადასვლის საშუალებას არ აძლევს.

– ეს ნივთიერება ებრძვის ე.წ. „ცუდი“ ქოლესტერინის დაბალ სიმკვრივეს და ასევე, ხელს უშლის დაავადებული უჯრედიდან ვირუსის ჯანსაღ უჯრედში გადანაცვლებას, – აკონკრეტებენ ამერიკელი სპეციალისტები.

სამწუხაროდ, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რა რაოდენობით გრეიფრუტია საჭირო პაციენტისთვის, თუმცა ერთ მარტივ ჭეშმარიტებას თუ გავიხსენებთ, რომ ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, მაშინ გარკვეული შედეგის მიღწევა აღარ გაგვიჭირდება.

**medkarta.com**

## იცით, ვისთვის არ შეიძლება მანდარინის ჭამა?



ალკოჰოლური სასმელებისა და ასაფეთქებელი საშუალებების გარდა, საახალწლოდ მანდარინის სურნელიც ხშირად ტრიალებს ხოლმე ჰაერში, რადგან ეს ციტრუსი მართლაც ძალიან გემრიელია, თუმცა სპეციალისტები დაბეჯითებით მოითხოვენ, რომ უმჯობესია, მანდარინის მხოლოდ არომატით დავკმაყოფილდეთ და ის პირთან ახლოსაც კი არ მივიკაროთ.

რატომ? იმიტომ, რომ:

პირველ რიგში, მანდარინი ძალიან დიდი სიფრთხილით უნდა მივცეთ ბავშვებს, რადგან არ არის გამორიცხული, პატარებს მკვეთრად გამოხატული ალერგია დაემართოთ.

მეორე – მანდარინის ჭამაზე აუცილებლად უარი უნდა თქვან ადამიანებმა, რომლებსაც კუჭთან დაკავშირებული პრობლემები და თორმეტგოჯა ნაწლავი აწუხებთ. ასევე, არ არის რეკომენდებული ამ ციტრუსის მიღება გასტრიტით დაავადებულთათვისაც.

მესამე – ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც მანდარინის ქერქის ჭამაც უყვართ. სპეციალისტების განმარტებით, ციტრუსის ქერქი შეიცავს დიდი რაოდენობით ეთერზეთებს, რამაც შესაძლოა, ფილტვების, თირკმლებისა და კუჭუკანა ჯირკვლის დაავადებები გამოიწვიოს. შესაბამისად, აუცილებელია უარის თქმა მის ქერქზეც.

დაბოლოს – მანდარინის ქერქი ასევე სახიფათოა იმის გამოც, რომ მცენარის დასაცავად ხდება მასზე ქიმიკატების დაპკურება და თუკი ნახავთ, რომ ქერქი განსაკუთრებით პრიალებს, არავითარ შემთხვევაში არ მიიკაროთ ის პირთან ახლოსაც კი.

**myjane.ru**



## როგორ უნდა დაიმშვიდოთ ნერვები?

სტრესს ადამიანის ორგანიზმისთვის და ზოგადად, ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია და აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ამ უსიამოვნო მოვლენასთან ბრძოლის გზები გამონახოთ.

სპეციალისტები გვირჩევენ, რომ ყურადღება შევაჩეროთ თხილსა და კაკალზე, რათა შეძლოთ არა მხოლოდ შიმშილის გრძნობის მოკვლა, არამედ ნერვების დამშვიდებაც.



ამერიკელი დიეტოლოგების განმარტებით, თხილსა და კაკალში აღმოჩენილია დიდი რაოდენობით მაგნეზია, ნივთიერება, რომელიც დამამშვიდებლად მოქმედებს ტვინსა და ნერვულ სისტემაზე.

აქედან გამომდინარე, დღეში 100 გრამი თხილი და კაკალი საკმაოდ დადებით გავლენას მოახდენს თქვენზე.

სპეციალისტები დასძენენ იმასაც, რომ მაგნეზიას დიდი რაოდენობით შეიცავს იოგურტი და ლობიოც.

**myjane.ru**

## იქნებ, ყავასთან „მეგობრობის“ საკითხი გადაგეხედათ?



დილას ადრე გაიღვიძებ – ყავა. სამსახურში მიხვალ – ყავა. თანამშრომელს გულის გადაშლა მოუნდება – ყავა. სტუმრად მიხვალ და ისევ – ყავა.

რა ამბავია, თქვე კაი ხალხო, წყალი არ მოდის თქვენს ონკანებში?!

ისე, ზოგიერთ მედიკოსს რომ ჰკითხო, ყავას დადებითი თვისებები აქვს, მაგრამ უმრავლესობა იცით, რას ამბობს?

– ყავა, ადამიანმა, კვირაში მაქსიმუმ... ორჯერ უნდა დალიოს!

რატომ? იმიტომ, რომ სპეციალისტები მიიჩნევენ – ყავის ხშირად დალევა მიჩვევას იწვევს, დაახლოებით ისეთს, როგორსაც... ნარკოტიკები.

საქმე ისაა, რომ კოფეინი არის სტიმულატორი, რომელიც ადამიანს კი აფხიზლებს, მაგრამ მის ფსიქოლოგიურ გააქტიურებასაც იწვევს. გარდა ამისა, კოფეინის ზემოქმედება ახშირებს გულისცემას, მატულობს ტემპერატურა, ძლიერდება ოფლის გამომუშავება და ხდება კუჭის წვენის აქტიურად გამოდინება. გგონიათ, ამით დასრულდა? აგერ, კიდევ:

– ყავის დიდი რაოდენობით მიღება აუარესებს ძარღვების მუშაობას, ზრდის მკერდის კიბოს გაჩენის რისკს, იწვევს უძილობას...

მოკლედ, იქნებ, ყავასთან „მეგობრობის“ საკითხი მართლა გადაგეხედათ, რას იტყვით?

**woman.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03





1. რაიონი სვანეთ-ში
2. აზ-როვნების ორგანო
3. ცრემ ძმა ...
4. „მაუგლი“ მგელი
5. ხმლის ბუდე
6. ბაგე
7. დიდი ხვევი
8. ობობის ქსელი
9. მსახიობი ... კიდმანი
10. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
11. საფანგი
12. პურის მაგარი კანი
13. ვაგო-ნებიანი შემად-გენლობა
14. სახიდან თმის მოცილება
15. ბოჭკო-ვანი მცენარე
16. მსახიობი სოფი ...
17. მ/ფ „მიმინო“ პერსო-ნაჟი
18. გამარ-ჯვების ქალღ-მერთი
19. სპექ-ტაკლი „ბერნარდა ... სახლი“
20. სასტ-რადო ინსტრუ-მენტი
21. ეს ფრინველი კვერცხს სხვის ბუდეში დებს
22. ამ მთაზე დასაჯეს ქრისტე
23. „... ქუჩისა-გან“
24. ... ფიტცჯე-რალდი
25. ანცი, მოუს-ვენარი
26. კრების ჩანა-წერი
27. ხუმარა-ბის თვე
28. „... გრძელი წინდა“
29. „ფოთლ-ზინის მშობლ. ქალაქი
30. მცე-ნიერება სიცოცხლის შესახებ
31. რომის პაპის გვირგვინი
32. გიტარის მავთული
33. „... და ქალა ერთო“
34. ჯუჯა
35. მეფე ... გორგასალი
36. ვერდის ოპერა
37. კავშირი, გაერთი-ანება
38. თვალის ბუდე
39. ჭედადი ქიმიური ელემენტი (ზოგადად)
40. ცხენ-ბურთი
41. დარბაზო-რის სამოსი
42. ეს ხე რკოს ისხამს
43. კუბაზე: ... კასტრო
44. ქალაქის ძველ. „... ქვრივი“
45. ბიზეს ოპერა
46. ლომების ოჯახი
47. ამე-რიკული ავტომო-ბილი
48. ოპერის წამყვანი მომღე-რალი ქალი
49. პუნების ბელადი
50. ინდოეთის დედაქა-ლაქი
51. ჩინეთის დიდი ...
52. ფარდაგი
53. ერნესტო ... გევარა
54. მეზების მფარველი ღმერთი
55. შხამიანი ბაყაყი
56. სამა-ნიშნ-ლების სიძე
57. მსახიობი ... გარსია
58. პრო-ცენტის საბან-რიცხვი
59. ღრმა და ვიწრო ხეობა, როგორიც აქვს მდინარე კოლორადოს
60. პიგმა-ლიონის საქრო
61. მეფე არტურის პირველი რაინდი
62. ჩვილის სიტყვა
63. ციფრი
64. ვაშლის ღვინო
65. მსახიობი ... ბესინჯერი
66. გურული მრავალ-ხმიანი სიმღერა
67. ქიაჩელი. „... ბიგვა“
68. ზედა გამონე-ტარი ადგილი
69. ქართ. ფულის ერთეული
70. ვაზის მოლუჯი
71. საქონლის პატივი
72. ბიბ-ლიიდან: სამსონი და ...
73. რუ-ფუსორი სტივენ ...
74. ტემპე-რატურის საზომი ხელსაწყო
75. მი-ნათმოქ-მედების სპეცია-ლისტი
76. ბალონი, ბუშტი
77. მა-ყურებლის ადგილი თეატრში
78. თანავარ-სკვლა-ვედი
79. ... დი, ტრი, ტეტრა
80. კანდე-ტების კრებული
81. თუთიყუში
82. ნაცია
83. ... დე ბალზაკი
84. მსახიობი ... როკი
85. მომ-ღერალი ... ჯონი
86. მ/ფ „დოქტორ ... კუნძული“
87. ნიჟის მქონე, ამე ...
88. მდინარე ქუთაისში
89. ქსოვილი, კავშირ-შია თუ-თასთან
90. ბროუს ულისის ფილმში
91. ერთ-ერთი თითი
92. ... კობერიძე
93. ქალაქი რუმანში
94. მსახიობი დრიუ ...
95. მათემა-ტიკური უცხობი
96. ცხენის კუდის ბალანი
97. სახელმ-წიფო ევროპაში
98. მ/ფ „შერეკი-ლები“ ... კუჭუხიძე
99. თითო ბაგეში
100. გამხმარი ხილი
101. ვაჟა-ფშაველა. „... წიფელი“
102. ათოსი, პორთოსი და ...
103. როდენ ატკეპნილი მიწა(ტერ)
104. ზედა-ფენის სასუქეთი მოზღვ-ბილობა
105. ... დათესავ, იმას მოიმკი
106. ეკრის ნაწილი
107. კვერცხის თეთრი გარსი
108. მსახიობი ... პაჩინო
109. კარ-ტოფილის მავნე ბუგ-ხოჭო
110. სურდო
111. მოგიმ-ღერი ნივთი-ერება
112. ... პუგაჩოვა
113. „... და კრავი“
114. მსახიობი ... ტალეტი
115. ლეონ „ფალერი ...“
116. ხის ხელოსანი
117. თურქეთის დედაქა-ლაქი
118. შაქრის ლერწმის არაყი
119. ცურ-ტავების ნახარშ-ების ბუნება
120. ნილოსის რეპტილია
121. თეატრის სცენის განათება
122. სირაქ-ლემას სახეობა
123. ოპერა „... გოუნტი“
124. მსახიობი ... აბაშიძე
125. წყლის მოლუსკი
126. მშვილდით სასროლი ჯოხი
127. ლოტოს მსგავსი თამაში
128. ქროლობა
129. „მაუგლი“ პითონი
130. კუ-ლის ნაწილი
131. ანწილი
132. ცხე-ქალვები ზურგზა-მცილი
133. თალი
134. პატარა ბაგეში (საუნ.)
135. მსახიობი ... ალეკი
136. „... კონდუ-გალ-მტყვე-ლება“
137. სამიანი ნარდში
138. პურის სიკო
139. ნართი
140. „სწავლის ... მწარე არის“
141. ლომის ბრჭყალი
142. მწიხრე სახის ...
143. მდინარე ინდო-ეთში
144. მი-ქელან-ჯელოს ქანდაკება
145. შხამიანი გველი უდაბნოში
146. ქართ. ხალხური ზღაპარი
147. ... ცოცხი კარგად გვის
148. დაბალ-ფასიანი, აფუ ...
149. ... დე მოპასანი
150. ჩეხოვი. „... ვანია“

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. მოჭადრაკე გარი ...
2. მსახიობი ჟან-ლუი ...
3. ტორეადორი, ანუ ...
4. თავადაზნაურ. ტიტული ევროპაში
5. თრითინა
6. მსახიობი ... ჰეჩი
7. ღვინის ღმერთი
8. თითის მონიშვნა არჩევნებ. დროს
9. ზანგი, ანუ ...
10. რეჟისორი კვენტინ ...
11. აბატი ფარიას ციხესიმაგრე
12. ლიმონის კანი
13. მსახიობი ... ნოლტი
14. სვავი, ანუ ...
15. ნაგებობა. იმართება ფეხბურთი
16. ზლოტის მეასედი
17. მსახიობი რიჩარდ ...
18. სამაგიდო თამაში
19. ხმამაღალი ჟღერადობა მუსიკაში
20. ქმედება ალალბედზე
21. ტენორი ... ლანცა
22. თამადა, ანუ ...
23. მხატვარი დიეგო ...
24. მწერალი დავით ...
25. ქალაქი მდინარე ვოლგაზე
26. მდინარე ციმბირში
27. მთის ბროლის სამკაულებ. ფირმა
28. მარგალიტის წარმომქმნელი ფენა
29. მოსაპირკეთებელი ქვა
30. ვულკანური მასა
31. ფრინველი სამხ. პოლუსზე
32. ებრაული სალოცავი
33. მსახ. ... ბეგალიშვილი
34. წერილი (ძვ.)
35. მდინარე ინდოეთში
36. მსახიობი ... გარსია
37. ქალაქი პოლონეთში
38. ორკესტრის ხელმძღვანელი
39. პიგმალიონის სატრფო
40. მსახიობი ბენისიო დელ ...
41. სოფელი სიღნაღის რაიონში
42. იატაკის ხალიჩა
43. ოდრი ტოტუ ფილმში
44. ... ჰო, ... არა
45. იგივეა, რაც მეკობრე
46. ზღვა საბერძნეთთან
47. მიჩურინის გამოყვანილი ვაშლი
48. იუველირი
49. სინთეზური ქსოვილი
50. სპილბერგის უცხოპლანეტელი
51. მან ეგოროვთან ერთად დროშა აღმართა რაისხტაგზე
52. მწერალი ჭაბუა ...
53. იგავი „მგელი და ...“
54. ტყის სანიტარი ფრინველი
55. ... პოპინსი
56. გადაადგილებ. საშუალება ზოგადად
57. მზის ამოსვლა
58. ძვ. სამენჯლისო ცეკვა
59. რბილი ავეჯი
60. ტაილანდის ძველი სახელწ.
61. პარაზიტი მცენარი
62. მიმიკის უქონლობა
63. მომღერალი ... კუტუნიო
64. მსახიობი დენიელ ...
65. ცეცხლის დასანთები ძველებ. საშუალება
66. უქოჩრო თუთიყუში
67. ნამარხი სპილო
68. ამ ქალაქზე გადის ნულოვანი მერიდიანი
69. ქართ. ხალხური ზღაპარი
70. სახელმწიფო დოკუმენტი
71. ანჩხლი
72. გაზაფხულის თვე
73. კურდღლის ნაშიერი
74. ვაზის საყრდენი ჯოხი
75. შოტლანდიური გვარის ნაწილაკი
76. ხუმარების ქალაქი ბულგარეთში
77. ნახ. კუნძული აზიაში
78. მდ. სანკტ-პეტერბურგში
79. ხელოვნური ენა
80. მესერი
81. ნაბიჯი ბალეტში
82. „დიდი მოურავი“ ავტორი
83. მეჭეჭების მოსაშვავი სითხე
84. ნაიარევი, ანუ ...
85. ხვავი
86. მწერალი ... როდარი
87. სოფელი თბილისის შემოგარენში
88. მსახიობი გრეგორი ...
89. ახალი ზელანდიის მკვიდრი
90. გარგანტუა და ...
91. ლაშქარი
92. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
93. სწავლობს გიგლა ...
94. ერთგვარი ოთხთავალა
95. მსახიობი ... ჩურიკოვა
96. თურქეთის დედაქალაქი
97. მსახიობი ... თარხნიშვილი
98. მსახიობი ... რიშარი
99. მწერალი ... ბრედბერი
100. მსახიობი ... ჰარისი
101. პოეტი მურმან ...
102. ოჯახში ვიზიტით მოსული ადამიანი
103. კაქტუსის წანა-ზარდი
104. გაქრისტიანებ. არაბი ყმაწვილი
105. იუპიტერის თანამგზავრი
106. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში. დიდი ტბების სისტემაში
107. რითი აჭედებენ ლურსმანს
108. დაბალფასიანი
109. ლიტვის დედაქალაქი
110. ზებუნებრივი მოვლენა
111. მდინარე, რომლის მეშვეობითაც შეიქმნა თბილისის ზღვა
112. მაღაზიათა ქსელი საქართველოში
113. უმაღლესი ხარისხის ბროლი
114. ქალაქი სამეგრელოში
115. კედლის სანგრევი საბრძოლო იარაღი
116. ტელეფონის ზარი
117. მთა. ჯვარცმის ადგილი
118. როუენ ატკინსონი მისტერ ...
119. მომღერალი ლედი ...
120. თოვლის კრისტალი
121. რუსი ილუზიონისტი
122. დიდი სარეკლამო დაფა
123. ლაიზა მინელი ფილმში
124. რეკორდების წიგნი
125. ნიშნავს ცივს
126. ალაოს შაქარი
127. ავტოფარეხი
128. მსახიობი ენტონი ...
129. შვედური ხურდა ფული
130. ინდური კაბა
131. ნიავი
132. „... ჭკუისაგან“
133. აბლაბუდა, ანუ ობობის ...
134. მულტფილმი ყვითელ კაცუნებზე
135. ქალაქი კახეთში
136. რა შეისწავლა ფიზიოლოგმა პავლოვმა
137. მხატვარი ... თოიძე
138. იგივეა, რაც თუთიყუში არა
139. „... მილიციის თანამშრომელი“
140. ქაკ-... კუსტო
141. პურის ხმელი ზედაპირი
142. პატარა არხი
143. ბილიარდის ჯოხი

პასუხები: 1. კასპაროვი; 2. ტრენტინიანი; 3. მატადორი; 4. ჰერცოგი; 5. სინდიოფალა; 6. ენ; 7. დიონისე; 8. მარკირება; 9. აფრო-ამერიკელი; 10. ტარანტინო; 11. იფი; 12. ცედრა; 13. ნიკ; 14. გრიფი; 15. სტადიონი; 16. გროში; 17. გირი; 18. ნარდი; 19. ფორტე; 20. რისკი; 21. მარიო; 22. ტოლუმბაში; 23. ველასკესი; 24. კლდიაშვილი; 25. ვოლგოგრადი; 26. ენისეი; 27. სვაროვსკი; 28. სადაფი; 29. მარმარილო; 30. ლავა; 31. პინგვინი; 32. სინაგოგა; 33. ბადრი; 34. უსტარი; 35. ინდი; 36. ენდი; 37. კრაკოვი; 38. დირიჟორი; 39. გალატეა; 40. ტორო; 41. ტიბაანი; 42. ფარდაგი; 43. „ამელი“; 44. ან; 45. კორსარი; 46. ეგეოსი; 47. ანტონოვკა; 48. ოქრომჭედელი; 49. აკრილი; 50. ითი; 51. ქანთარია; 52. ამირეჯიბი; 53. კრავი; 54. კოდალა; 55. მერი; 56. ტრანსპორტი; 57. ალიონი; 58. სარაბანდა; 59. დივანი; 60. სიამი; 61. ტკიპა; 62. ამიმია; 63. ტოტო; 64. ოტეი; 65. ტალკვესი; 66. არა; 67. მამონტი; 68. გრინვიჩი; 69. „ჭინჭრაქა“; 70. ქარტია; 71. ავი; 72. მარტი; 73. ბაჭია; 74. ჭიგო; 75. მაკ; 76. გაბროვო; 77. კორეა; 78. ნევა; 79. იდო; 80. ღობე; 81. პა; 82. ქვარიანი; 83. ლაპისი; 84. ნაჭდევი; 85. ბარაქა; 86. ჯანი; 87. ლილო; 88. პეკი; 89. მაორი; 90. პანტაგრუელი; 91. სპა; 92. არისტოტელე; 93. ტიტინა; 94. ტარანტასი; 95. ინა; 96. ანკარა; 97. ვანიკო; 98. პიერ; 99. რეი; 100. ედ; 101. ლებანიძე; 102. სტუმარი; 103. ეკალი; 104. აბო; 105. იო; 106. ერი; 107. ჩაქუჩი; 108. იაფი; 109. ვილნიუსი; 110. მისტიკა; 111. იორი; 112. „კარფური“; 113. ბაკარა; 114. აბაშა; 115. ტარანი; 116. ზუმერი; 117. გოლგოთა; 118. ბინი; 119. გაგა; 120. ფიფქი; 121. კიო; 122. ბანერი; 123. „კაბარე“; 124. გინესი; 125. კრიო; 126. მალტოზა; 127. გარაჟი; 128. კუინი; 129. ერე; 131. სიო; 132. ვაი; 133. ქსელი; 134. „სიმფსონები“; 135. თელავი; 136. რეფლექსი; 137. მოსე; 138. არარა; 139. პიერი; 140. ივ; 141. ქერქი; 142. რუ; 143. კიი. იკითხება: პანდა.

## ამ პროდუქტებს საუზმეზე არ ჭამენ!



ყველამ კარგად იცის, რომ არაფრით შეიძლება სახლიდან საუზმის გარეშე გასვლა, მით უმეტეს, როცა ადამიანი მწეველია და სიგარეტის უზმოზე მოწევის ჩვევა აქვს. მაგრამ საქმე რა არის, იცით? საუზმისთვის საკმაოდ პოპულარული ბევრი პროდუქტი არანაკლებ სახიფათოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ვიდრე უზმოზე სიგარეტის მოწევა.

როგორც დიეტოლოგები ამბობენ, ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, რომ საუზმეზე არასწორად შერჩეული საკვები არაერთ პრობლემას აჩენს.

ასე მაგალითად, არ შეიძლება საუზმეზე მივიღოთ: ბანანი, იოგურტი, ფორთოხლის წვენი, ხურმა, შებოლილი ხორცეული, კონსერვები, პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ტკბილი კარტოფილი, შაქარი. ასევე, უარყოფითი შედეგი მოსდევს საუზმეზე ცივი სასმელების მიღებას.

სპეციალისტების თქმით, ბანანის შემადგენლობაში დიდი რაოდენობით მაგნიუმი შედის. ამის გამო, დილაობით ბანანის ჭამის ჩვევას კალციუმ-მაგნიუმის ბალანსის დარღვევა შეუძლია, რასაც შედეგად შესაძლოა, გულის დაავადებები მოჰყვეს.

უზმოზე მიღებული იოგურტი თავის ყოველგვარ დადებით თვისებას კარგავს. ამდენად, იოგურტი საკვების მიღებიდან დაახლოებით 2 საათის გასვლის შემდეგ უნდა დააგემოვნოთ.

ფორთოხლის წვენი გასტრიტს იწვევს. არ არის გამორიცხული, ის ალერგიის გაჩენის მიზეზიც გახდეს.

ხურმა და პომიდორი პექტინისა და სათრიმლავი მჟავების შემცველია, რაც კუჭში ქვების გაჩენით შეიძლება დასრულდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ უზმოზე არც ამ პროდუქტების მიღებაა რეკომენდებული.



შებოლილი ხორცეულისა და კონსერვების მიღებას გასტროსპაზმების გამოწვევა შეუძლია.

დილით წიწაკის, კომბოსტოს ან კიტრის შეჭმა კუჭს აღიზიანებს, ტკბილი კარტოფილი კი კუჭს საშინლად ამძიმებს.

საუზმეზე მიღებულ ცივ სასმელებს ქალებში მენსტრუალური ციკლის დარღვევა შეუძლია.

რაც შეეხება შაქარს, როცა ის ორგანიზმში უზმოზე ხვდება, შესაძლოა, მჟავა-ტუტოვანი ბალანსი დაარღვიოს, ვინაიდან კუჭქვეშა ჯირკვალი დილაადრიან საჭირო რაოდენობის ინსულინის გამომუშავებას ვერ მოასწრებს.

***myjane.ru***

## მამაკაცებისთვის აქტიური სექსუალური ცხოვრება ძალიან საშიშიაო



გადაჭარბებული არაფერი ვარგა და მათ შორის, არც სექსი! მეცნიერებიც იმავეს ამბობენ – ზედმეტად აქტიური სექსუალური ცხოვრება მამაკაცს ფიტავს და იმუნიტეტს უსუსტებს, რასაც შეიძლება ძალიან სერიოზული გართულებები მოჰყვეს.

დასავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტის სპეციალისტები ექსპერიმენტების ფარგლებში მამაკაცებსა და... ჭრიჭინებს აკვირდებოდნენ. ამ უკანასკნელებს განსაკუთრებული ყურადღებით. მიზეზი ის გახლავთ, რომ როგორც თავად მეცნიერები ამბობენ, ამ მწერებისა და მამაკაცების ბიომექანიზმები ერთმანეთს ძალიან ჰგავს.

ჭრიჭინების შესწავლამ ბიოლოგები დაარწმუნა, რომ სპერმის გამომუშავებასა და იმუნურ პროცესებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. კერძოდ, როცა მაღალი ხარისხის სპერმის გამომუშავება ხდება, პარალელურად საშინელ ზეწოლას განიცდის ორგანიზმის, ფაქტობრივად, ყველა სისტემა, ყველაზე მეტად კი – იმუნური. ეს იმას ნიშნავს, რომ სექსისგან გადაღლილი მამაკაცის ორგანიზმის იმუნური სისტემა ძალიან სუსტია და, უბრალოდ, ვეღარ უმკლავდება ათასგვარ ბაქტერიულ და ვირუსულ ინფექციას.



ამ ყველაფერში კაზანოვას მიმდევრებისთვის ერთი საინტერესო დეტალი მაინც არსებობს. თურმე, ხარისხიან სპერმას, რომელზეც ორგანიზმის მთელი რესურსები იხარჯება, მამაკაცი ყოველთვის როდი გამოიმუშავებს. ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სექსით ისეთ ქალთან კავდება, რომელიც მისთვის გასანაყოფიერებლადაც მიმზიდველია, ქვეცნობიერ დონეზე, რაღა თქმა უნდა.

***neva24.ru***

## გენეტიკური მუტაციის გამო, ზოგიერთი ადამიანი გამოძინებას 4 საათშიც კი ახერხებს



ზოგადად, შური ძალიან ცუდი რამეა, მაგრამ ვაღიარებთ – აი, ახლა დაგვიდგა სწორედ ის მომენტი, როცა სხვა ადამიანის შეგვშურდა, თანაც გვშურს არა ბევრი ფული ან მაგარი მანქანა, არამედ... გენეტიკური მუტაცია.

არახალი ამბავია, რომ ძილი თანამედროვე მეცნიერებისთვის ჯერ კიდევ ძალიან დიდი იდუმალებით მოცული მოვლენაა, მაგრამ ერთ-ერთი საიდუმლო – როგორ ახერხებს ზოგიერთი ადამიანი საფუძვლიანად გამოძინებას მხოლოდ 4 საათში – ამოხსნილია.

თურმე, არსებობს გენეტიკური მუტაცია, რომელიც ამ ფენომენზე აგებს პასუხს. მისი სახელწოდებაა „ეიჩდიისი 2“ და „ძილ-სიფხიზლის“ ციკლს არეგულირებს. ადამიანი, რომელსაც აღნიშნული მუტაცია აქვს, ძილის დრო 4 საათამდე უმცირდება, თუმცა ამავე დროს ის თავს სრულიად დასვენებულად, ლაღად და გამოძინებულად გრძნობს.

ცნობილი ადამიანებიდან მხოლოდ 4-საათიანი ძილი ჰყოფნიდა: მარგარეტ ტეტჩერს, ჯეიმს ჯრანკოს, მარტა სტიურტს და სხვებს.

***news.21.by***

## რამდენიმე მეცნიერული თეორია დეჟავიუს წარმოშობაზე



მიუხედავად იმისა, რომ დეჟავიუს იშვიათ მოვლენას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ, მეცნიერებამ მის შესახებ ძალიან ცოტა რამ თუ იცის. არსებობს რამდენიმე თეორია, რომლებიც ამ ფენომენს ეხება:

1. ნეირონული განმუხტვები – ირკვევა, რომ ეპილეფსიის მქონე ადამიანები დაავადების შეტევების დასაწყისში დეჟავიუს ძალიან ხშირად განიცდიან, რამაც მეცნიერებს ამ ფენომენის უფრო დეტალურად შესწავლის საშუალება მისცა. ეპილეფსიურ გულყრას თავის ტვინის ფოკალურ ნაწილში ნეირონების ელექტრონული აქტიურობის ცვლილება იწვევს. ნეირონული აქტიურობა შეიძლება მთელ ტვინზე გავრცელდეს, როგორც დარტყმითი ტალღა მიწისძვრის დროს, მათ შორის ტვინის იმ ნაწილზეც, რომელიც ხანგრძლივი მოგონებების შენახვაზეა პასუხისმგებელი. ეპილეფსიის შეტევის დასაწყისში დეჟავიუ სწორედ ამიტომ ჩნდება.

კვლევების შედეგებით, ასეთი ნეირონული განმუხტვები იმ ადამიანებსაც შეიძლება გაუჩნდეთ, რომლებიც ეპილეფსიით დაავადებულები არ არიან. მაგალითად გამოდგება უნებური კრთომა, რომელიც ჩაძინების დროს, ალბათ, ერთხელ მაინც განგიცდიათ.

2. მეხსიერების დაკარგვა – დეჟავიუ ჯანმრთელ ადამიანებში შესაძლოა, მეხსიერების დაკარგვას მოჰყვეს, რომელიც ხანმოკლედ და ხანგრძლივად იყოფა. მეცნიერების აზრით, დეჟავიუ ჩნდება მეხსიერების სისტემაში არსებული სხვაობების გამო, რომლებიც ახალ გამოცდილებას ამუშავებენ. გაურკვეველი მიზეზით, ინფორმაციამ შესაძლოა, ხანმოკლე მახსოვრობას გვერდი აუქციოს და პირდაპირ ტვინში მოხვდეს, სადაც ხანგრძლივი მეხსიერება ინახება. სწორედ ამით შეიძლება იმის ახსნა, რატომ ეჩვენება ადამიანს სიახლე ძალიან ნაცნობ მოვლენად.

3. რეაქცია ნაცნობ დეტალებზე – კიდევ ერთი თეორიის მიხედვით, დეჟავიუ შეიძლება ნაცნობ დეტალებზე თავის ტვინის მეხსიერების სისტემის რეაქცია იყოს. მაგალითად, როცა უცხო ქალაქის რომელიმე რესტორანში შედიხართ და ინტერიერი თქვენი ქალაქის კონკრეტული რესტორნისას ძალიან ჰგავს...

ჯერჯერობით ეს ყველაფერი მხოლოდ თეორიაა, მაგრამ მეცნიერება ერთ ადგილზე როდი დგას, ის წინ მიიწევს და დადგება დრო, როცა ყველანაირ საიდუმლოს ფარდა აეხდება.

***mainfun.ru***

## ბუნებაში გატარებული, სულ რაღაც, 4 დღე, შემოქმედებით შესაძლებლობებს 50 პროცენტით ზრდის



„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველმა არ გაიარე, რაა მამული...“ შეიძლება, ამ სიტყვებში მთლად მეცნიერული ქვეტექსტი არ იდოს, მაგრამ ბუნებასთან სიახლოვე რომ ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეს ფაქტია! ასე მაგალითად, ბუნებასთან ახლოს ყოფნა და ყოველგვარ კომპიუტერთან და ტექნიკასთან დაშორება ადამიანს მთელი 50 პროცენტით კრეატიულს ხდის, რაც ფსიქოლოგიის პროფესორმა დევიდ სტრეერმა ექსპერიმენტის დახმარებით დაამტკიცა კიდეც.

კვლევის ფარგლებში 56 მოხალისე, რომელთა საშუალო ასაკი 28 წელს შეადგენდა, ალიასკის, კოლორადოს, ვაშინგტონისა და მენის ველურ ბუნებაში 4-6 დღე იმყოფებოდა. ამასთანავე, მათ მობილური ტელეფონის წაღების უფლებაც კი არ ჰქონდათ.

მოხალისეებმა ბუნებაში გასვლამდე და დაბრუნების შემდეგ კრეატიულობის ტესტი გაიარეს.

ჰოდა, თითოეული ადამიანის შედეგის სხვაობა, საშუალოდ, 50 პროცენტი აღმოჩნდა.

***pronowosti.ru***



ქმარი სახლის ბარიდან ყველა სპირტიან სასმელს იღებს და ჩანთაში დიდი სიფრთხილით ალაგებს. ცოლმა დაუცაცხანა:

– კაცო, რა სიკვდილად გინდა ამდენი დასალევი, აგარაკზე ხომ 3 დღით მივდივართ?

– ჩვენ კი არ მივდივართ 3 დღით აგარაკზე, ჩვენი შვილი რჩება 3 დღით სახლში!

*****

მამა შვილის რვეულს ამოწმებს?

– რა არის ეს, რა მახინჯურ კაუჭებს წერ?!

– ეგ კაუჭები არ არის, მამი, ეგ ინტეგრალებია!..

*****

ბაბუა შვილიშვილს:

– მოდი, ვითამაშოთ – მე გამოვიცნობ, სად დამალე ჩემი კბილის პროთეზი, შენ კი მიპასუხე: „თბილა“ ან „ცივა“.

– კარგი, ბაბუ.

– ჩემს საძინებელში?

– ცივა!

– დერეფანში?

– თბილა!

– ტუალეტში?

– უფრო თბილა!

– უნიტაზთან?

– დაცხა!

– ჩასარეცხ ბაკში?

– აუუუ, ძალიან დაცხა!!! კარგი, ბაბუ, მე თვითონ განახებ, სადაც დავმალე, ოღონდ გამომიშვი გაზის ღუმელიდან, გეხვეწები!!!

*****



პატარა კოტე დედას სულ ჯინსის შარვლიანს ხედავდა. ერთ დღესაც, დედამ კაბა ჩაიცვა. კოტე შოკში ჩავარდა:

– დე! შენ რა, გოგო ხარ?!

*****

– ფლომასტერი მათხოვე, რა, თითი უნდა შევიღებო.

– რატომ?

– სტუმრად მივდივარ და წინდები მაქვს გახვრეტილი...

*****

– ქმრისთვის არც ერთხელ არ მიღალატია!

– შენ ახლა ტრაბახობ თუ წუწუნებ?..

*****

– მამა, ლოგიკის არქონა რას ნიშნავს?

– გლობუსი.

– სად?

– ჩუსტები...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## ჩინეთს საკუთარი... პენტაგონი ექნება



რა უცნაურები არიან, კაცო, ეს ჩინელები, არა?! აბა, ამდენნი არიან, მილიარდიან ზღურბლს ჯერ კიდევ როდის გადააბიჯეს, მაგრამ საკუთარის გამოგონების ნაცვლად, ლამის მუდმივად პლაგიატორობენ.

ამ შემთხვევაში საუბარია იმაზე, რომ ჩინეთში, კერძოდ კი შანხაიში სულ მალე პენტაგონის ასლი აიგება. სხვაობა ის იქნება, რომ შენობაში არ იგეგმება არც სამხედრო და არც დაზვერვის უწყებების განთავსება.

წინასწარი ინფორმაციით, „ჩინური პენტაგონი“ სავაჭრო-გასართობი ცენტრის ფუნქციას შეითავსებს.

შენობის მშენებლობა ქალაქის ხელისუფლებას 150 მილიონი ევრო დაიხარჯება, თუმცა, როგორც ამბობენ, ხარჯები ძალიან სწრაფად გასწორდება და პროექტი მომგებიანი მალევე გახდება.

სავაჭრო ცენტრის აგების იდეის ავტორები (თუ პლაგიატორები) აღნიშნავენ, რომ პენტაგონი იმგვარად აიგო, რომ მასში მომუშავე ადამიანებს შენობაში განთავსებულ ნებისმიერ ოფისამდე 7 წუთში მიეღწიათ.

მომდევნო პროექტი, ალბათ, „ჩინური თეთრი სახლი“ იქნება...

***hozna.ru***

## რატომ არის უნიკალური თაფლისფერი თვალები?



თინეიჯერების უმრავლესობა უპირატესობას ცისფერ და მწვანე თვალებს ანიჭებს, უფროსი ასაკის წარმომადგენლები კი ამას, ალბათ, მათსავით მტკივნეულად აღარ განიცდიან. ორივე თაობას კი ის აერთიანებს, რომ ნამდვილად არ ეცოდინებათ, რატომ არის უნიკალური თვალის ყველაზე გავრცელებული ფერი – თაფლისფერი.

ექსპერიმენტის დახმარებით, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ შვედმა მეცნიერებმა ჩაატარეს, დადგინდა, რომ თაფლისფერთვალიანი ადამიანები გარშემომყოფების განსაკუთრებულ ნდობას იმსახურებენ.

ყველა მოხალისეს, ვინც ექსპერიმენტში მონაწილეობდა, ფოტოებზე გამოსახული უცნობი ადამიანების მიმართ ნდობის დონე უნდა შეეფასებინა. შედეგად აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 60 პროცენტში ნდობა სწორედ თაფლისფერი თვალების მქონე ადამიანებმა გამოიწვიეს.

რა არის ამ მოვლენის მიზეზი, მეცნიერები ზუსტ ახსნას ვერ პოულობენ, თუმცა ფაქტი მაინც ფაქტად რჩება.

***pronowosti.ru***

## სოიოს სოუსი მენოპაუზის სიმპტომებს მოხსნის



ექსპერტებმა დაადგინეს, რატომ არის, რომ აზიურ ქვეყნებში მცხოვრები ქალები მენოპაუზას ბევრად იოლ ფორმებში უმკლავდებიან. აღმოჩნდა, რომ „დამნაშავე“ სოიოს სოუსი ყოფილა.

კვლევის ავტორთა განმარტებით, პროდუქტის შემადგენლობაში შედის ნივთიერებები, რომელთაც ჰორმონ ესტროგენის გამომუშავების შეფერხება შეუძლიათ. გარდა ამისა, მისი ხშირად მიღება ამცირებს სისხლში ქოლესტერინის მაღალ დონეს.

თუკი სოიოს სოუსს ქალები ყოველდღიურ მენიუში დაამატებენ, მენოპაუზის სიმპტომები მნიშვნელოვნად შესუსტდება.

რაც მთავარია, ამ მხრივ, სოიოს სოუსი ბევრად ეფექტური ყოფილა, ვიდრე ვიტამინები ან წითელი ღვინო, საშუალებები, რომელთაც მენოპაუზაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

***woman.ru***

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**

**3 დეკემბერი:** თუ მოინდომებთ, კარგი იმპროვიზატორი იქნებით. რაც უფრო მეტად მოინდომებთ თქვენი სათქმელის ხატოვნად გადმოცემას, მით უკეთესად გამოგივათ.

**კურო 22.04-21.05**

**3 დეკემბერი:** ძალიან არ იჩქაროთ. შეიძლება წააწყდეთ საიმედო საყრდენს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოგრჩეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**

**3 დეკემბერი:** ურიგო დღე არ უნდა იყოს. ნებისმიერ ადგილას, სადაც კი მოხვდებით, თავს ისე იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში.

**კირჩხიბი 22.06-22.07**

**3 დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს პირადი პრობლემების გვერდზე გადადება და ვიღაცის საქმის მოგვარება მოგიწიოთ. თუ ასე არ მოიქცევით, ამას მუდმივად წამოგაძახებენ.

**ლომი 23.07-22.08**

**3 დეკემბერი:** დააკვირდით გარშემომყოფებს და შეეცადეთ, მათი შეცდომები არ გაიმეოროთ. ამ დღეს წარმატებულს ვერ დაარქმევთ, შეეცადეთმ ნეიტრალურად მაინც აქციოთ.

**ქალწული 23.08-22.09**

**3 დეკემბერი:** უჩვეულოდ დამაჯერებელი იქნებით და გარშემომყოფების ნებისმიერ საქმეზე დარაზმვას შეძლებთ. იმედია, ამას ბოროტი განზრახვით არ გამოიყენებთ.

**სასწორი 23.09-22.10**

**3 დეკემბერი:** ვისთანაც დღეს ურთიერთობა გექნებათ, მათ გონებრივ შესაძლებლობებზე ტაქტიანად ილაპარაკეთ. შეიძლება მათ არ მოგხიბლონ, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ ყველა სულელად შერაცხოთ.

**მორიელი 23.10-21.11**

**3 დეკემბერი:** შესაძლოა, საკუთარ თავს უფლება მისცეთ და გარკვეულ რისკზე წახვიდეთ. ალბათ, გაგიმართლებთ, მაგრამ ეს ჩვევად არ უნდა იქციოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**

**3 დეკემბერი:** როგორც ჩანს, გაშმაგებული ადამიანების დამშოშმინებლის როლი დაგეკისრებათ, ამისთვის კი დიდი მოთმინების გამოვლენა მოგიწევთ.

**თხის რქა 22.12-19.01**

**3 დეკემბერი:** შეიძლება მოხდეს ის, რაც აზრადაც კი არ მოგივიდოდათ. სახლში უნდა შეიკეტოთ, თუ მეგობრებს წვეულება მოუწყოთ, მხოლოდ მაშინ გამოჩნდება, როდესაც ერთიც და მეორეც დაგვიანებული იქნება.

**მერწყული 20.01-18.02**

**3 დეკემბერი:** შეიძლება ისეთ საქმეს მოჰკიდოთ ხელი, რაც თქვენს შესაძლებლობებს აღემატება. გეგმებს გადახედეთ და ის გააკეთეთ, რასაც დაძლევთ.

**თევზები 19.02-20.03**

**3 დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს იმაზე მეტი მოინდომოთ, რაც გეკუთვნით. რეალობას დაუბრუნდით და ამბიციები მოთოკეთ.

## ჩინელი ფერმერის მიერ გამოგონილი ავტომობილი მუშაობს ქარზეც, მზეზეც და ელექტრობაზეც



„ხერხი სჯობია ღონესაო“, ყური მოუკრავს 55 წლის პეკინელ ტან ჩენპინს და აგერ, ბატონო, გადასარევი შედეგიც მიუღია, რომელმაც შესაძლოა, ის მილიონერად გადააქციოს.

ტან ჩენპინმა ალტერნატიული ავტომობილის პროექტი შეიმუშავა, რომელიც სულ რაღაც 3 თვეში განახორციელა.

ავტომობილის სიგრძე დაახლოებით 3 მეტრია, კორპუსის წინა ნაწილში კი მოზრდილი პროპელერი აქვს დაყენებული, რომლის წყალობითაც ხდება ქარის ენერგიით აკუმულატორის დატენა, რაც, საბოლოო ჯამში, მანქანას მოძრაობის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ავტომობილს აქვს მზის რამდენიმე პანელიც და ასევე, ელემენტები, ელექტროგენერატორი და რამდენიმე დამატებითი აკუმულატორი. როცა ელემენტების ერთი ჯგუფი მოძრაობაზე მუშაობს, მეორე ქარის ან მზის ენერგიით ივსება. საბოლოო ჯამში, ავტომობილი შეუჩერებლად მოძრაობას ახერხებს, მაქსიმალური სიჩქარე კი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, 140 კილომეტრ/საათი აქვს.

ცნობილია ისიც, რომ უნივერსალური ავტომობილის შექმნაზე ჩინელმა ფერმერმა, სულ რაღაც, 1600 აშშ დოლარი დახარჯა და იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე მისი მიღწევით დაინტერესდება, თანხას ძალიან ბევრი ნული მიემატება...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

***top.rbc.ru***



მდიდარმა პარლამენტარმა 5 წლის ვაჟს მობილური ტელეფონი აჩუქა:

– თუ რამე მოხდა, დამირეკე და ყველაფერს მოვაგვარებ, – ჭკუაც დაარიგა.

მეორე დღესვე პარლამენტარი კაბინეტში არ იყო შესული, მდივანმა რომ უთხრა, შვილი გირეკავთო.

– ჰო, შვილო, რა მოხდა?

– მამიკო, ძაღლმა დედიკოს საყვარელ ხალიჩაზე მოისაქმა, რა ვქნა?

– აიღე ცოცხი და ნაგვის ასაღები და ურნაში ჩააგდე, გასაგებია? და მეორედ ასეთ სისულელეზე აღარ დამირეკო...

გავიდა 5 წუთი და შვილი ისევ რეკავს:

– ახლა რაღა მოხდა?

– მამიკო, ჩვენი მეზობელია შემოსული, დედიკოსთან ერთად საძინებელში ჩაიკეტა და შარვალს იხდის. იცოდე, იმანაც თუ მოისაქმა ხალიჩაზე, ხელს არ მოვკიდებ!!!

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი***

**შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“**

ალია ≫ 211359457 კვირის ქრონიკა

დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.55